140
1983/2

ISSN 0132—5973

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

2
1983

ელექტრონული
ბიბლიოთეკა



# საქართველოს სადიდებელი თქმული

ალუდა არაბული

გაუმარჯოს საქართველოს
ლამაზი დილის გათენებას, —
მის საქმეებს სასახელოს
და გმირების გახსენებას.

გაუმარჯოს ზვრებს და ყანებს, —
ატმების ცეცხლს და მზის ხანძარს,
მამულს, გულით შენაყვარებს, —
გელათის და ზარზმის ტაძარს.

მცხეთის ჯვარს და სვეტიცხოველს
მისი ნათლით შემოფენას, —
ნუშის, ბლის და ტყემლის
თოვლებს, —
გაზაფხულის შემოფრენას.

გაუმარჯოს საქართველოს,
მის ვაჟკაცებს და მის ქალებს,
მის საყვარელ ცას და მდელოს,
ვაზის ფესვს და ყანის თაველს!..

მხატვარი თ. სამსონაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

12.463



# ჯადოსნური საყვირი

ზურაბ ჩხაიძე

მოთხრობა

მხატვარი ზურაბ მეძმარიაშვილი

ბიჭი აგურის კედელს გადაევლო. თავდაღმართში დაგორებულ ბურთს დაედევნა.

ინტერნატის ეზოდან მისმა ტოლებმა ამოყვეს თავი.

ბიჭი ბურთს დასწვდა, ეზოსკენ გატყორცნა. მერე შებრუნდა და გზას დაადგა.

— ლუკააა! ლუკააა! — დაადევნეს შეცბუნებულმა ბიჭებმა. ბიჭი უკან არ იხედებოდა.

— ლუკააა! ლუკააა! სად მიდის, ე!

ვერაფერი გაეგოთ. ერთმანეთს გადახედეს.

— ერთი თქვენც, მოგცლიათ, — უგემურად თქვა ფიდომ, მათ შორის ყველაზე უფროსმა. — მაგას კაცი რამეს გაუგებს?!

ბიჭები ტყაპატყუპით გადაცვივდნენ ეზოში. ისევ ბურთს შეუტიეს.

ბიჭი აუჩქარებლად მიაბიჯებდა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილს მარჯვენა ხელით შაურიანები შეეწებებინა და ერთმანეთზე ასრიალებდა. გულისჯიბეში თეთრი ხურდა ფულიც ეყარა.

ზაფხულის არდადეგები დაწყებულიყო და სანამ ბანაკში გადაიყვანდნენ, ბიჭი გაბეზრებული იყო ერთთავად ინტერნატის ეზოში ყოფნით. რახანია იზიდავდა დიდი ქალაქის იდუმალება და დღეს პირველად მიატოვა ინტერნატის შემოგარენი. ამიტომ ახლა ოდნავ დაძაბული მიუყვებოდა მყუდრო ქუჩას. კაცმა რომ თქვას, მარტო არც აპირებდა წამოსვლას, მაგრამ თვითონაც ვერ გაეგო, როგორ მოხდა, მარტომ რომ გაბედა. ერთ წამში გადაწყდა. რაღაც უხილავმა ძალამ უბიძგა. ის იყო, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, რომ ბიჭების ყიჟინაც მისწვდა, მაგრამ უკან აღარ მოუხედავს.

ის ახლა ხმაურიან პროსპექტზე მიაბიჯებდა. ქუჩაში ფერად-ფერადი მანქანები დანავარდობდნენ, ტროლეიბუსები და ავტობუსები მიმოქროდნენ, მაგრამ ბიჭს შიგ ჩაჯდომა არც უფიქრია.

ის ოდნავი დაძაბულობაც გაქრა. ბიჭი უკვე ლაღად მიაბიჯებდა. ტროტუარს მიუყვებოდა და თან მაღაზიების ვიტრინებში იმზირებოდა. მერე სტვენაც წამოიწყო, ოღონდ ძალიან ხმადაბალი, ისეთი, მისსავე ყურს ძლივს რომ სწვდებოდა.

„კარგი იქნებოდა, ბაჭიაც წამომეყვანა“, — ფიქრობდა.

„ლუკააა! ლუკააა!“ — ყველაზე თავგამოდებით ბაჭია ყვიროდა.

„თვალებიც ალბათ ყველაზე უფრო გაუფართოვდა“,

საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

პიონერი

2 თებერვალი 1983

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



კ. მარქსის სახ. ს... სსრ
...

— გაიფიქრა ბიჭმა და გული შეეკუმშა.

მზე შეულად აჭერდა, მაგრამ ბიჭი არად აგდებდა. ქუჩა გადაჭრა და რეზინის საბურავებზე შემდგარი ცისტერნისაკენ გაემართა, რომლის გარშემო გამვლელები შეჯგუფულიყვნენ და მოყავისფრო სითხით წყურვილს იკლავდნენ. ბიჭი რიგში ჩადგა. ცნობისმოყვარედ შეჰყურებდა რიგში მდგომთ.

მისი ჯერიც მალე დადგა. ბიჭმა კათხას ხელი მოჰკიდა და განზე გადგა. ქაფს შეუბერა და ოდნავ მოსვა. ესიამოვნა სასმელი. ისევ დაეწაფა.

— როგორია? — მოესმა ამ დროს და თავი ასწია.

მის წინ შუახნის კაცი იდგა, თმაში ვერცხლი შეპარვოდა. ბიჭმა ხალვათ ხალათში მკვრივი სხეული დალანდა. ვიწრო წელზე კაცს მჭიდროდ ჰქონდა მორგებული ქამარი.

— ვარგა? — გაუმეორა კითხვა კაცმა. — მჟავე ხომ არ არის?

კაცს გვერდით ქერათმიანი, ყვითელკაბიანი ქალი ედგა. დიდი, ცისფერი თვალები ბიჭისათვის მიეპყრო. ტუჩებზე ოდნავ დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა.

— არა, — ჩაახველა ბიჭმა. — მოტკბო გემო აქვს.

კაცს გაეღიმა და ღიმილითვე მიუბრუნდა ქალს:

— ნაილი, დალევ?

— უიმე, არა! — ქალმა უარის ნიშნად თავი გადააქნია.

— ოო... არა უშავს, ცივი ყოფილა! — თქვა კაცმა, როცა სასმელით ხელში ცოტა ხნის შემდეგ იმავე ადგილს დაუბრუნდა. — გიყვარს ბურახი?

— არ ვიცი, — უპასუხა ბიჭმა.

— როგორ? პირველად სინჯავ?

ბიჭმა თავი დაუქნია.

— მერედა, არ მოგწონს?

— არა უშავს, — თქვა ბიჭმა, კათხა ზედადგარზე ჩამოდგა, ტუჩები სახელოთი მოიწმინდა და პირველი შთაბეჭდილებით არცთუ უკმაყოფილო გზას დაადგა.

საით მიდიოდა, არ იცოდა, მაგრამ ამის გამო ოდნავადაც არ წუხდა. პირიქით, ეს გაურკვევლობა სიამოვნებდა კიდეც, — საითაც უნდოდა, იქით წავიდოდა.

მალე სპორტულ მაღაზიას გაუსწორდა და ღია კარში შერგო თავი. გულისყურით მიაჩერდა დახლებს. რას არ ნახავდა იქ კაცის თვალი. დახლებზე გვერდიგვერდ ეწყო სპორტული ტრუსები, ფერადი მაისურები, კედები და ბოტასები, ნაირნაირი ბურთები, თხილამურები, ჰანტელები, საძილე ტომრები, გასაბერი ნავი... ბიჭს ყველაფერი მოსწონდა.

„კარგი იყო, ბაჭიაც წამომეყვანა თან“, — გაიფიქრა და თვალი ესპანდერზე შეაჩერა. მკერდს აფართოებსო, ფიდოსგან ჰქონდა განაგონი. სამი მანეთი ღირდა. ნაღვლიანი მზერა მოაცილა ესპანდერს. მინის ქვეშ მოთავსებულ კომპასს დააცქერდა. კომპასის გვერდით გუდაპერჩის თეთრი ბურთები ეყარა.

— რა ღირს? — გაუბედავად ჰკითხა სატინისხალათიან გამყიდველ გოგონას, კედელს რომ მიჰყუდებოდა მოწყენილი, და თითი მინას დააბჯინა.

— თითო — ათი კაპიკი.

ბიჭმა გულის ჯიბიდან ფული ამოიღო და გოგონას გაუწოდა.

— სალაროში გადაიხადე, — გამოცოცხლდა გამყიდველი.

სალარომ ერთი დაიზრიალა და სათვალიანმა ქალმა ჩეკი გამოაწოდა.

„ბაჭიას გაუხარდება“, — გაიფიქრა ბიჭმა და ბურთი ხელისგულში მოიქცია. ბურთი ისეთი სრიალა იყო, კინაღამ პირისაკენ წაიღო, მერე თავისი თავისა შერცხვა და ჯიბეში ჩააცურა.

მოშორებით, ვიტრინასთან მოტოციკლები და ველოსიპედები ეწყო. ბიჭს გულმა იქით გაუწია. გაკრიალებულ მოტოროლერთან შეჩერდა. ერთი წუთით წარმოიდგინა, როგორ შემოჯდებოდა ზედ, ხელებს ჩაავლებდა სახელურებს და ქალაქის ქუჩებში გაინავარდებდა. რბილ დასაჯდომს ხელით დააწვა...

შემდეგ ველოსიპედებს ჩამოუარა. სხვადასხვა მარკის ველოსიპედები მიჯრით ჩაემწკრივებინათ ერთმანეთის გვერდით. მერედა, რამდენი იყო! „ერთი რომ მომცა, — ფიქრობდა ბიჭი და თან გუნებაში თავის სარგო ველოსიპედს არჩევდა, — რას გავიხარებდით ბიჭები?!“

ველოსიპედებთან ხუჭუჭთმიანი, თვალანთებული მისი ტოლი ბიჭი მიიჭრა.

—აი, ესაა, მამა, რომ გეუბნებოდი! — თითქმის ყვიროდა და ველოსიპედს ხელს უთათუნებდა.

კაცმა გაოფლილი თავ-კისერი ცხვირსახოცით გაიმშრალა და გამყიდველს მოუხმო.

— რა ღირს? — იკითხა.

— ორმოცდარვა მანეთი — ჩამომარცვლა გამყიდველმა,

„ორმოცდარვა მანეთი“, — გუნებაში გაიმეორა განზე დამდგარმა ბიჭმა. იგი შეპარვით გაჰყურებდა გალაღებულ მამა-შვილს.

რამდენიმე წუთის შემდეგ გახარებულმა ბავშმა ცისფერ ველოსიპედს დაავლო ხელი და გასასვლელისაკენ გააგორა. ლუკამ სევდიანი მზერა გააყოლა. ისე დატოვა მაღაზია, ველოსიპედებისკენ მეტად აღარ მიუხედავს.

ის ისევ ქუჩაში მიაბიჯებდა. ანაზდეულად მისი ყურადღება ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, პატარა სკვერის იქით ამოშვერილმა კოშკურამ მიიქცია. კოშკურაზე ვეება ბორბალი ტრიალებდა და მაჯისსისხო ღვედს იხვევდა. ბიჭმა ქუჩა გადაჭრა, სკვერი გაიარა და საბაგირო გზის კოშკურის წინ აღმოჩნდა. აღარ დაუყოვნებია, ბილეთი იყიდა და ბაქანზე მაშინღა გავიდა, როცა საჰაერო კალათის კარი იკეტებოდა. ნახევრად ღია კარში სხარტად შესრიალდა და ხალხის წრე რომ გაარღვია, სრულიად შემთხვევით, მოაჯირთან, თმაშევერცხლილ კაცსა და ყვითელკაბიან ქალს შორის ამოყო თავი.

— ოჰ! — ეს შენა ხარ? — თქვა გაოცებულმა კაცმა და ბიჭს თავზე ხელი დაადო.

ბიჭს ხმა ეცნაურა, თავი ასწია და კაცს თაფლისფერი თვალები სახეში შეანათა.

— უჰ! როგორ მატკინე ფეხი! — წარბები შეიჭმუხნა ქალმა.

— მაპატიეთ!.. — თავი ჩაღუნა ბიჭმა.

— ეგ არაფერი... — თქვა კაცმა. — საით გაგიწევია?

— არ ვიცი, — მიუგო ბიჭმა.

— შენ რა ყველაფერზე „არ ვიცის" გაიძახი, ბიჭო! — გამომწვევად უთხრა ქალმა.

ბიჭმა მზერა ქალზე გადაიტანა. შიგნით თითქოს რაღაც ეტკინა, მაგრამ ხმა არ გაუცია. მკლავები მოაჯირს გადააყრდნო და სივრცეს გახედა. საჰაერო კალათა აძრულიყო.

მოასფალტებულ ფართო გზას გადაუქროლეს, რომელზედაცნაირფერი მანქანები თავბრუდამხვევი სისწრაფით მიქროდნენ. ბიჭმა ღრმად შეისუნთქა მონაბერი ნიავი. ერთ წამს თვალები დახუჭა და ნეტარებით მიენდო სივრცეში აცურებულ მონანავე კალათას.

თვალი რომ გაახილა, კალათის ქვემოთ, ფერდობზე, შვეულად ამოზრდილი ხეები მიცურავდნენ. ფერდობს იქით, ვაკე ადგილზე წითელი აგურით ნაგებ ნახევრადწრიულ შენობებს შორის, მოტიტვლებულ ეზოში ცხენები გამოშლილიყვნენ. ბიჭს ერთად შეჯგუფული ამდენი ცხენი არასოდეს ენახა და მოჯადოებულივით დაჰყურებდა ზემოდან.

— მოგწონს? — მოესმა ხმადაბალი შეკითხვა.

— ძალიან, — თავი დაიქნია ბიჭმა.

კალათა თავლებს გასცდა, სანაპირო ქუჩა გადასჭრა და ბეტონის კალაპოტში მოქცეული მდინარის თავზე გაეკიდა. მდინარის აღმა, ორასიოდე მეტრის მოცილებით ქვიშიან ნაპირზე ბიჭები გაბნეულიყვნენ. მდინარის გაღმა კი უზარმაზარ ფართობს ტრაქტორები შესეოდნენ, უსწორმასწორო გორმახებს შესჭიდებოდნენ.

საჰაერო კალათა ქვედა სადგურის ბაქანს მიადგა. გამცილებელმა გასასვლელი კარი გახსნა. მგზავრებმა რიგრიგობით იწყეს გასვლა. ბიჭი დაწინაურებას არ ცდილა, რადგან არსად არ ეჩქარებოდა. გასასვლელთან კაცმა გზა დაუთმო და ჰკითხა:

— მაშ არ იცი, საით მიდიხარ?

— ვიცი, — უპასუხა ბიჭმა. — მდინარეზე.

— მერედა, მარტო რამ წამოგიყვანა?

ბიჭმა არაფერი არ უპასუხა.

— თუ შენი ამხანაგებიც იქ არიან? — ჰკითხა ქალმა.

— იქ არიან, — ცოტა ხნის შემდეგ მიუგო ბიჭმა.

— ჭკუით იყავი, — უთხრა კაცმა და დამშვიდობების ნიშნად ხელი აუწია, ქალს ხელმკლავი გამოსდო და გაიყოლა. ბიჭმა მდინარისკენ აიღო გეზი.

სანაპიროს მოაჯირს რომ გადაეყრდნო, თავისი ტოლი ბიჭები დაინახა. შორიახლოს ჩასასვლელ კიბეს მოჰკრა თვალი და იქით წავიდა.

რიყეზე წყალში ახალამოვლებული ხუთი ბიჭი იწვა. ხორბლისფერი სხეულები მზეზე უბზინავდათ.

ბიჭი შორიახლოს შედგა. მომცრო ლოდი მოძებნა და ზედ ჩამოჯდა. წყალი ნაპირებთან საყვარლად ჩქაფუნებდა. ხანდახან წყლის ზედაპირზე მზის ათინათი გაიბრწყინებდა და თვალს სჭრიდა. დასცხა. ხალათი გაიძრო.

ბიჭები საუბარში გართულიყვნენ, ახალმოსულისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. ბიჭს ცოტა არ იყოს უკვირდა და გულის სიღრმეში სწყინდა კიდეც ეს. გახურებულ ქვიშაში ხელი ამოურია და მდინარეში კენჭების სროლას მოჰყვა.

ჭორფლიანმა, წითურმა ყმაწვილმა მხარზემოდან გამოხედა და დაუძახა:

— ე! ბიჭო! მოდი აქ!

ბიჭიც, თითქოს ამას ელოდაო, წამოდგა, ხალათი აითრია და რამდენიმე უნდობელი ნაბიჯი გადადგა.

— რა გქვია? — ჰკითხა წითურმა.



— ლუკა.

— ვა! რა გორსალური სახელია! ვინ დაგარქვა?

ბიჭმა გამომწვევი კილო იგრძნო, მაგრამ არ აღელვებულა.

— არ ვიცი, — მიუგო მშვიდად.

— რა კაი კლიენტია! — ტაში შემოჰკრა შავტუხა ბიჭმა, თმა ზღარბივით რომ ჰქონდა აჯაგრული. — მაშ არ იცი, ვინ დაგარქვა?

— ნამდვილად არ ვიცი, — ისევ მშვიდად უპასუხა.

— საიდან მოდიხარ? — განაგრძო წითურმა.

— გაღმიდან.

— იქა ცხოვრობ?

ბიჭმა თავი დაუქნია.

— მერე გამოღმა რა გინდოდა?

— წყალზე ჩამოვედი.

— ცურვა იცი? — ჰკითხა ჯაგარათმიანმა.

— არა.

— ვა, რა ტიპია! — თქვა ახლა სხვამ, გაზეთის ქუდი რომ წამოემხო თავზე. — აბა მდინარეზე რისთვის მოდიოდი?

— ისე, გამოვისეირნე...

— ჯიბეში რა გაქვს? — გამობურთულ ჯიბეზე მიაშვირა ხელი წითურმა და წამოიწია.

— არაფერი... ბურთია...

— აბა მაჩვენე! — უთხრა წითურმა და მიუახლოვდა.

ბიჭმა ჯიბიდან პაწაწინა ბურთი ამოიღო და ორ გაშვერილ თითს შუა მოიქცია, ისე დაანახა. და აქ მოხდა ის, რასაც ბიჭი არ მოელოდა. წითურმა თვალის დახამხამებაში აუკრა ხელი. ბურთი ჰაერში ავარდა, მერე ქვებზე აცეკვდა და წყალში ჩავარდა. ბიჭებმა მოწონების ნიშნად ერთხმად გადაიხარხარეს. ბურთი წყალს მიჰქონდა.

ბიჭი ინსტიქტურად მოსწყდა ადგილს და მდინარეში შევარდა, გამალებით ამუშავა ხელ-ფეხი, როგორც იყო მისწვდა ბურთს, მაგრამ ერთბაშად წავიდა ფსკერისაკენ. ზედაპირზე რომ ამოყვინთა, პირიდან წყალი ამოასხა და ხველება აუვარდა. ნაპირისკენ იბრუნა პირი, ერთი ისევ გაიბრძოლა, მაგრამ წყალმა ისევ დაძირა, ბიჭები ცხადად ხედავდნენ — ბიჭი წყალს მიჰქონდა. ბევრი არ უფიქრიათ, ხუთივენი გადაეშვნენ მდინარეში და წყალწაღებულს გამოედევნენ; მალე წამოეწივნენ, აქეთიქიდან ჩაჰკიდეს ხელი, მხარში შეუდგნენ და ნაპირზე გამოიყვანეს.

ბიჭს განუწყვეტლივ ახველებდა — წყალი ჰქონდა ნაყლაპი. ხველებისაგან თვალები დაუწითლდა, სახე ჩაეტეტკვა. მაშინ ბიჭებმა ქვიშაზე პირქვე დააწვინეს. წყალი ამოუვიდა. ამან უშველა. ხველება დაუწყნარდა და გონს მოეგო. სული რომ მოითქვა, ბიჭებს გული მიეცათ და აყაყანდნენ.

— შენ, ბიჭო, მართლა არ გცოდნია ცურვა!

— გული არ გაგვიხეთქე!

— თუ ცურვა არ იცოდი, რასა ხტებოდი!

— მაგ ბურთისთვის იხრჩობდი თავს?!

ბიჭს ჩაესმოდა ეს სიტყვები, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გაერჩია, რომელი მათგანი რას ეუბნებოდა.



— არა, მაინც გეტყობა, მაგარი ბიჭი ხარ.

ეს კი გარკვევით გაარჩია, — წითური ეუბნებოდა.

ბიჭმა მარჯვენა ხელი გახსნა. ხელისგულზე თეთრი, მბზინავი ბურთი ესვენა. ხელი უცებ მომუჭა და ჩაცუცქულ წითურთმიან ბიჭს მუშტი ნიკაპში დაარტყა. წითური ტკივილისაგან დაიმანჭა და გვერდზე გადაბრუნდა. სანამ სხვები გონს მოვიდოდნენ, ჯაგარათმიანსაც მოხვდა სახეში ბიჭის მუშტი. მაშინ კი ეცნენ ხუთივენი. ბიჭმა რაღაც მკვრივი საგნის ძლიერი დარტყმა იგრძნო შუბლში. თვალთ დაუბნელდა...

გონს რომ მოვიდა, შუბლი საშინლად სტკიოდა. ხელის შევლება მოისურვა, მაგრამ ვერ შესძლო. ხელები ზურგსუკან ჰქონდა გაკრული. შარვალზე დაიხედა და მიხვდა, ხელები მისივე ქამრით გაეკრათ. მწარედ ჩაეღიმა. თავი გაიქნია და ქაღალდის ქუდი გადაიგდო, თვალებზე რომ ჰქონდა ჩამოფხატული. ზურგით კედელს მიებჯინა და ძლივძლივობით წამოდგა. მდინარისაკენ წალასლასდა. ქვებს შორის პაწაწინა თეთრი ბურთი შეამჩნია. ერთხელ კიდევ გაიბრძოლა, ხელების განთავისუფლება სცადა. ვერაფერს გახდა. მაშინ ლოდზე ჩამოჯდა და ისევ ქამარს დაუწყო წვალება. გარშემო გამკითხავი არავინ ჩანდა.

ერთი საათი მაინც დასჭირდა, სანამ ხელებს გაინთავისუფლებდა. ჯერ შარვალი გაიძრო, გაწურა და გასაშრობად გაფინა. შემდეგ შუბლზე სველი ცხვირსახოცი დაიდო. ხელში პაწია ბურთი ეჭირა და ფიქრობდა: „ეეჰ, ბაჭია რომ წამომეყვანა, ეს ამბავი ალბათ არ დამემართებოდა“. იჯდა და შარვლის გაშრობას ელოდა. მზე დასავლეთისკენ გადახრილიყო და ისე ძალუმად ვეღარ აცხუნებდა. ბიჭი ხანდახან წამოდგებოდა, წყალში ცხვირსახოცს ასველებდა და ცივ საფენს იცვლიდა. კოპი ცოტა ჩაუცხრა, ისე აღარ სტკიოდა.

მოსაღამოვებულიყო უკვე, როცა ბიჭმა ტანსაცმელი ჩაიცვა. გულის ჯიბეში ჩაიყო ხელი, მაგრამ ფული აღარ იყო. როგორ გასულიყო გაღმა, ფული რომ აღარ ჰქონდა? ქვევით, მდინარეზე ხიდი მოჩანდა, მაგრამ იქამდე სამი კილომეტრი მაინც იქნებოდა. ისევ საბაგირო გზისკენ არჩია წასვლა.

საბაგირო გზის ბაქანზე რომ შედგა ფეხი, ისევ ის თმაშევერცხლილი კაცი და ყვითელკაბიანი ქალი დალანდა. ბილეთების სალაროსთან იდგნენ. კაცმა ბიჭი შორიდანვე იცნო, და ხელი დაუქნია. ბიჭმა იფიქრა, უკან გაბრუნებულიყო და ხიდიდან მოევლო, მაგრამ ამ დროს კაცმა ბილეთები ააფრიალა და პირდაპირ მისკენ წამოვიდა. ბიჭს წასასვლელი აღარსად ჰქონდა, თუმცა უკანასკნელი შანსი მაინც რჩებოდა — ბაქნიდან გადამხტარიყო და იქაურობას გასცლოდა. მაგრამ ასეთი საქციელი უაზრობად ჩათვალა და ისევ წინ გააბიჯა.

— ეგ რა მოგსვლია? — სახე მოეღუშა კაცს.

— არაფერი, — ჯიუტად მიუგო ბიჭმა.

— როგორ თუ არაფერი? შუბლზე კოპი გაზის!

— კედელს მივარტყი.

— თუ... გცემეს? — გამომცდელად ჩაეკითხა კაცი.

ბიჭმა თავი მიიბრუნა. ცრემლი მოადგა თვალზე.

— ვინა გცემა? შენმა ამხანაგებმა?

— არა, — თქვა ბიჭმა და ნერწყვი გადაყლაპა.

— აბა ვინ, უცხო ბიჭებმა, ხომ? — არ მოეშვა კაცი.

ბიჭმა თავი ჩაღუნა.

— ეეე, ძმაო, შენ მარტო დაყიალობ ამ ქალაქში და...

— რატომ ტუქსავ? — ჰკითხა ქალმა, როცა ისიც მიუახლოვდა.

— გაულახავთ! უცხო ბიჭებს გაულახავთ! — უთხრა კაცმა.

— აკი ჩემს ამხანაგებთან მივდივარო? — გაიხსენა ქალმა.

— რა გქვია? — მიუბრუნდა კაცი.

— ლუკა...

— ლუკა, წამოდი ახლავე და მაჩვენე ის ბიჭები!

— გოგი! — გამაფრთხილებელი კილოთი წარმოთქვა ქალმა.

— დამაცადე, ნაილი! — უთხრა კაცმა და ისევ ბიჭს მიეძალა: — წამოდი და მაჩვენე-მეთქი!

— გაიქცნენ... — ამოილუღლუღა ბიჭმა.

— საით წავიდნენ?! სად იქნებიან?

— აბა რა ვიცი, — თქვა გულამოსკვნით ბიჭმა.

კაცი მოეშვა. ერთხანს დაფიქრებული შეჰყურებდა ბიჭს, მერე მკლავზე მოჰკიდა ხელი და უთხრა:

— კარგი, წავიდეთ.

სამივენი ჩასასხდომ ბაქანზე გავიდნენ. კაცმა შუბლი შეუთვალიერა და მეგობრულად უთხრა:

— ისე კი, მაგრად დაუკრავთ.

ჯიბიდან ხუთკაპიკიანი ამოიღო და ბიჭს გაუწოდა.

— აჰა, მიიდე. ცივი ლითონი მოუხდება.

ბიჭს გაეღიმა, გამოართვა და შუბლზე მიიჭირა.

ის ახლა მოაჯირთან იდგა და ბაგირზე აცურებული კალათიდან აღმა გაჰყურებდა მდინარეს. იმ ადგილისაკენ იყურებოდა, სადაც წეღან დავიდარაბა გადახდა თავს. მერე თავლების ეზოში ჩაიხედა. აღარსად ჩანდნენ ოქროსფერფაფრიანი ცხენები. ეტყობა, უკვე თავლებში შეერეკათ.

— სად ცხოვრობ? — ჰკითხა კაცმა, როცა ზედა ბაქანს მიუახლოვდნენ.

— ზემო უბანში, — თქვა ბიჭმა.

— დედა რას გეტყვის? — თითი მიაშვირა კაცმა ბიჭის შუბლს.

ბიჭმა არაფერი უპასუხა.

ისინი უკვე ქუჩაში იდგნენ.

— გაგაცილებთ, — უთხრა კაცმა.

— არა, არ მინდა, — იუარა ბიჭმა.

— იცოდე, მარტო აღარ წამოხვიდე! — ცხვირის წვერზე თითი დაჰკრა კაცმა.

— მოდი, მანქანით მივიყვანოთ, — უთხრა ქალმა კაცს.

— არა, არა! — ისევ იუარა ბიჭმა. — მადლობელი ვარ.

ამ სიტყვებთან ერთად ადგილს მოსწყდა და ტროლეიბუსში შევარდა...

— ბავშვები, ბავშვები, — თვალი გააყოლა ქალმა. — უპატრონოდ დაეხეტებიან ქალაქში და... ვინ იცის, რას მოიწევენ?!

ბიჭმა შაურიანი შუბლიდან მოიცილა და საბილეთო სალაროში ჩააგდო. იქვე ცარიელ სკამზე ჩამოჯდა. არც ისე უკმაყოფილო იყო ჩავლილი დღით. ათასი რამ ნახა, განიცადა, მაგრამ განსაცდელი კიდევ ედო წინ და ამაზე იყო დაფიქრებული. სულაც არ უნდოდა მისვლა იქ, საითაც ახლა მიდიოდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა.

უკვე კარგად ჩამობნელდა, როცა იმ კედელთან მივიდა, საიდანაც დილისით ინტერნატის ეზო მიატოვა. მიაყურადა. მერე კედელზე გადაფოფხდა და ჩაიყუნტა. საცხოვრებელ კორპუსში სინათლეები ბჟუტავდა. თვალით მოძებნა მეორე სართულზე თავისი ოთახის ფანჯარა, იქაც სინათლე ენთო. ეზო გადაიარა, შენობას უკანა მხრიდან მიადგა. სახანძრო კიბე მოძებნა და აყვა. იცოდა, ეს კიბე სადაც მიიყვანდა, და რომ არავის გადაჰყროდა, ეს გზა აირჩია. რამდენიმე წუთის შემდეგ სხვენზე ამოყო თავი. იქიდან მესამე სართულზე ჩავიდა და სათადარიგო კიბეზე დაეშვა. არავინ შეხვედრია, ისე მივიდა დანიშნულ ადგილამდე და ოთახის კარი შეაღო.

ოთახში ორნი იყვნენ. ერთ-ერთს უკვე ეძინა.

— ლუკა?! — შესძახა ბაჭიამ. — სად დაიკარგე?

— ქალაქში! — უპასუხა ლუკამ და სკამზე მძიმედ დაეშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ რა მოგსვლია? — შეიცხადა ბაჭიამ, როცა შუბლზე კოპი დაუნახა. ლოგინიდან წამოდგა და ახლოს მივიდა.

— ვიჩხუბე, — უთხრა ლუკამ, — მაგრამ გამლახეს იმ არამზადებმა.

— სად? როგორ? ვისთან იჩხუბე? — მიაყარა კითხვები ბაჭიამ.

— ეჰ, შენ რომ იქ მყოლოდი, ყოფას ვუტირებდით, — თავდაჯერებით თქვა ლუკამ.

— მაინც რამდენი იყვნენ?

— ხუთნი.

— მერედა, ხუთს როგორ მოვერეოდით?! — გაოცდა ბაჭია.

— აი, ხვალ თუ წამომყვები, გიჩვენებ, როგორც მოვერეოდით... ჰო, მართლა, დღეს არავის ვუკითხივარ?

— ძია ბენომ გიკითხა ვახშმობის დროს... არა გშია? შენი წილი წამოვიღე.

— შიმშილით არა მშია, ისე კი, დავიღალე, — თქვა ლუკამ და ჯიბიდან პაწაწინა ბურთი ამოაძვრინა. — ეს შენ.

— ვაი, რა კარგია! საიდან? — გაუხარდა ბაჭიას.

— გიყიდე, — უთხრა ლუკამ.

ბაჭიამ კარადა გამოაღო, თეფშით თავდახურული საჭმელი დაუდგა წინ. სარქმელი გადახადა. თეფშზე მაკარონით გაწყობილი ორი კატლეტი იდო. ლუკამ მადლიერი თვალებით შეხედა მეგობარს.

— ეეჰ, შენ რომ მყოლოდი თან, ჩემო ბაჭია, თავს ასე ადვილად არ დავაჩაგვრინებდი.

— ჭამე რა! — შეეხვეწა ბაჭია. — დაღლილი რომ ხარ, გეშიება კიდეც.

— ხომ გითხარი, არ მინდა-მეთქი.

— ჩემი ხათრით შეჭამე... თუ ჩემი ძმა ხარ! — შეეხვეწა ბაჭია.

— შენი ხათრით... რასაც გინდა, იმას ვიზამ! — უპასუხა ლუკამ და გაციებულ კატლეტს ჩანგალი ჩაარჭო.

სანამ ვახშმობდა, ბაჭია შიგადაშიგ ეკითხებოდა, სად იყო მთელი დღე, რა ნახა, როგორ გადაეყარა ფათერაკს. და ლუკაც უამბობდა.

ვახშამი რომ მოათავა, ლუკამ მაშინღა იგრძნო ნამდვილი დაღლილობა. შუბლი აღარ სტკიოდა, სამაგიეროდ ფერდი აწუხებდა. „წიხლი ხომ არ ჩამაზილესო", ეს ფიქრი ბაჭიასთვის აღარ გაუმხელია. წამოიზლაზნა. ტანსაცმელი რის ვაივაგლახით გაიძრო. სინათლე ჩააქრეს და დაწვნენ.

— ცოტაოდენი ფული თუ გიჭყავის ჯიბეში? — იკითხა სიბნელეში ლუკამ.

— არა, უკაპეიკოდ ვარ, — თქვა ბაჭიამ.

— არა უშავს, ხვალ ფიდოს დავესესხები.

— რაში დაგჭირდა?

— წამომყვები ხვალ იმ ბიჭების მოსაძებნად? — ჰკითხა ლუკამ.

— ბიჭო, ხვალ ექსკურსიაზე მივდივართ ზოოპარკში.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი. ახლა კი დავიძინოთ.

ლაპარაკი აღარ გაუგრძელებიათ, მაგრამ არც თვალი მოუხუჭავთ. იწვნენ და თავთავიანთ საფიქრალს ფიქრობდნენ.

ყოველ ცისმარე დღეს, მზე რომ ამოიწვერებოდა მდინარის გაღმა მთისპირებიდან და ქალაქში შემოაღწევდა, ინტერნატის პირველი მესაყვირე, ბაჭია, ხელს წამოავლებდა თავის ოქროსფერ საყვირს, გზნებით ჩაჰბერავდა ალიონის მოძახილს და ახალი დღის დადგომას აუწყებდა ხოლმე ინტერნატის აღსაზრდელებს... მაგრამ მას შემდეგ, რაც სასწავლო წელი დამთავრდა, ბავშვები ძირითადად წავიდ-წამოვიდნენ და მხოლოდ ცოტანილა შერჩნენ ინტერნატს, ბაჭია აღარ აჟღერებდა თავის საყვირს...

ლუკამ თვალი გაახილა. დანარჩენებს მშვიდად ეძინათ. ბაჭიას გულზე დაეკრიფა ხელები და ისე ფშვინავდა. ცალ ხელში პაწია თეთრი ბურთი შერჩენოდა. მის შემხედვარე ლუკას გულზე მოეფონა. ფანჯრის გამოსაღებად წამოდგა. ოთახში ნაღამური ჰაერი დახუთულიყო.

დილის მაცოცხლებელ ნიავთან ერთად ფანჯრიდან ჩიტების ჟღურტულიც შემოიჭრა. „ყველაზე ადრე ჩიტები იღვიძებენ",—გაიფიქრა ბიჭმა და პირსაბანთან დაკიდულ სარკეში ჩაიხედა, ლურჯ-მოყვითალო ლაქაღა ეტყობოდა იმ ადგილას, სადაც გუშინ კოპი აჯდა. ისევ ბაჭიას მიაჩერდა. თვალებში სითბო ჩაუდგა.

ბაჭია ერთი წლით უმცროსი იყო და მასაც, როგორც ლუკას, ქვეყანაზე მახლობელი არავინ გააჩნდა. ინტერნატში მხოლოდ ეს ორნი იყვნენ უთვისტომონი და ამიტომ მათი დამეგობრება ძალაუნებურად მოხდა. ლუკა ყველა შემთხვევაში ცდილობდა გამოქომაგებოდა ბაჭიას და ისიც, თავის წილად, სამაგიეროს გადახდას ლამობდა.

ბიჭებმა კარგა ხანია იცოდნენ, ბავშვები უმშობლებოდ რომ არ ჩნდებიან ამ ქვეყნად. ამაში ისინი თავიანთი ამხანაგების მაგალითზე დარწმუნდნენ. ზოგს უსახსრობის გამო მიებარებინა შვილი ინტერნატში, ზოგს უდროობის გამო, ზოგს ნათესავი მეურვეობდა, მაგრამ ის, რაც მათ სჭირდათ, ვერაფრით ვერ აეხსნათ. ვერაფრით ვერ დაეჯერებინათ, რომ მათი მახლობლები არ არსებობდნენ, ანდა, თუ არსებობდნენ, როგორ უძლებდათ გული, რა ძალა აკავებდათ, რომ მათთვის ხმა არ მიეწვდინათ. ხანგამოშვებით ვინმეს მშობელი ან ნათესავი გამოჩნდებოდა თუ არა, ლუკა და ბაჭია შორიახლოს უვლიდნენ, აყურადებდნენ მათ საუბარს, რათა თუნდაც ერთი სიტყვა გაეგოთ, რას ელაპარაკებოდნენ უფროსები ბავშვებს, და სადღაც მალულად, ულვიოდათ იმედის მომცემი სუსტი ნაპერწკალი, რომ ერთი ბედნიერი დღე მათაც გაუთენდებოდათ, გაეხსნებოდათ ცა და ზღვა სიხარული წალეკავდა მათ სულებში წლობით დალექილ სევდასა და ნაღველს. ამიტომ ბიჭები დღენიადაგ ამის მოლოდინში იყვნენ და ერთმანეთს თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ.

ნასაუზმევს ძია ბენომ, მაღალმა, ხმელ-ხმელმა კაცმა,

ოციოდე მესამეჯგუფელს მოეყარა თავი, ორრიგად დააწყო და ინტერნატის ეზოდან გაიყვანა. გამზირზე რომ გავიდნენ, ტროლეიბუსში ჩასხდნენ და ქალაქის ცენტრისკენ გაემგზავრნენ. ბავშვების უმრავლესობა სარკმლებიდან ქალაქის თვალიერებით იყო გართული... მეექვსე გაჩერებაზე ორი მათგანი უჩუმრად ჩამოიპარა უკანა ბაქნიდან და გაზეთების კიოსკს ამოეფარა.

— დაგვინახეს თუ იცი? — იკითხა ლუკამ.

— არა მგონია, — მიუგო ბაჭიამ.

ბიჭებმა საფარიდან თავი გამოყვეს. ტროლეიბუსი უკვე შორს იყო.

— აჩიკომ თუ არ ატეხა ამბავი! — თქვა ბაჭიამ.

— აჩიკო მაგის კაცია? წავიდეთ.

ქუჩის მეორე მხარეს ასფალტს აგებდნენ. უზარმაზარი გრეიდერი ქვა-ღორღს მისწოლოდა და ქუჩას ასწორებდა. ბიჭებმა ხილბოსტნეულის ფარდულში გამყიდველს ქაღალდის პარკი გამოართვეს, ნამტვრევი ღორღის გროვასთან ჩაცუცქდნენ და ის პარკი პირთამდე აავსეს. ლუკამ იღლიაში ამოიდო და გზა განაგრძეს.

საჰაერო გზის ბაქანთან სალაროში ბილეთები შეიძინეს და კალათაში ჩასხდნენ. კალათა სწრაფად დაეშვა ქვევით. თავლების ეზოში რატომღაც ცხენები არ ჩანდნენ. კალათა უკვე მდინარის თავზე მიჰქროდა. არც მდინარეში შეჭრილ ქვიშიან ნაპირზე ჩანდა ძეხორციელი. როცა კალათა ქვედა სადგურთან გაჩერდა, ბიჭები ბაქანზე გავიდნენ და ერთხანს იდგნენ დაბნეულები.

— რა ვქნათ? — იკითხა ბაჭიამ.

— რა უნდა ვქნათ? არ ჩანან! — უპასუხა ლუკამ.

— წამოდი, მივიდეთ და დაველოდოთ.

— არა, ასე არ ივარგებს... — თავი გააქნია ლუკამ. იდექი შტერივით და ელოდე, როდის გამოჩნდებიან...

ბიჭები ისევ საჰაერო კალათაში ჩასხდნენ. მდინარის შუაგულს რომ მიაღწიეს, ლუკამ ქაღალდის პარკი მდინარეში გადაუშვა.

...ტროლეიბუსი ზოოლოგიური ბაღის შესასვლელთან გაჩერდა.

ბიჭები დაბალი ქვის კედელზე ადვილად გადაძვრნენ. სკვერი გადაირბინეს და ორ კედელს შუა ვიწრო ტალანი რომ გაიარეს, მაიმუნების გალიებთან აღმოჩნდნენ. უცნაური სანახაობა გადაეშალათ თვალწინ. ათი თუ თერთმეტი, თითქმის მათი ტოლი ბავშვი აქა-იქ მოკალათებულიყო. პლანშეტები, ფუნჯები და საღებავები მოემარჯვებინათ და ხატავდნენ. ნაწილი განცალკევებით მდგარ გალიაში მოთავსებულ ვეება ბუს შემოწყობოდა. ბუ გალიაში გაკიდულ ხის ქანდარაზე იჯდა. ნორჩ მხატვრებს შორის ის თმაშევერცხლილი კაცი მიმოდიოდა, წინადღით ყვითელკაბიან ქალთან ერთად რომ შეხვდა ბიჭს, ბავშვებს ნახატებს უსწორებდა, მითითებებს აძლევდა. ბიჭები ის იყო გალიაში გამომწყვდეულ ბუს მიუახლოვდნენ, რომ ის თმაშევერცხლილი კაცი მათკენ შემობრუნდა. უცხო ბიჭებს რომ ჰკიდა თვალი, დააკვირდა და ერთ-ერთი მათგანი მაშინვე იცნო. რამდენიმე წამში მათთან გაჩნდა.

დასასრული შემდეგ ნომერში



მარშრუტზე:
„პიონერები — სამშობლოს"

# ჩვენი წვლილი სასურსათო პროგრამაში

მიცემული სიტყვა უთუოდ შესრულდება

გარჯის კეთილი ნაყოფი

ნორჩი შეფები

მთელი სკოლის საზრუნავი

უფროსების მხარდამხარ

მიცემული სიტყვა აუცილებლად უნდა შესრულდეს — ეს მთაში ყველამ იცის, დიდმაც და პატარამაც. ამ დაუწერელი კანონის მიმდევარნი არიან დუშეთის რაიონის სკოლების მოსწავლეებიც, რომელთა უმრავლესობა დღეს თუ ხვალ სახელგანთქმულ მეცხოველეებს ამოუდგება მხარში და მამა-პაპათა საქმეს ერთგულად გააგრძელებს. დღეს კი დუშელი მოსწავლეები მეცხოველეობის ფერმებს შეფობენ. გასული სასწავლო წლის ბოლოს მაღაროსკარის, მლეთისა და ქვეშეთის სკოლების პიონერებმა და კომკავშირელებმა უფროსებს აღუთქვეს, რომ პირუტყვის საკვების დამზადებაზე იმუშავებდნენ. აკი კიდევაც მიიღეს მეცხოველეობის ფერმებმა მათი ხელით დამზადებული 25 ტონა თივა. მაგრამ მარტო საკვებზე ზრუნვაში როდი გამოიხატება ნორჩების შეფობა. ისინი უფროსებს ბოსლების დასუფთავებაში და ხბოების მოვლაშიც ეხმარებიან.

სოფელ პირმისაანთკარის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები კი გოჭებს უვლიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ინტერნატი მუდმივად არის ხორცით მომარაგებული. თავისი აქვთ ინტერნატელებს მწვანილიც და სტაფილოც, ხოლო მალე, როცა საბოსტნედ უფრო დიდ ნაკვეთს დაამუშავებენ, ბოსტნეულსაც მხოლოდ საკუთარი ხელით მოწეულს მოიხმარენ.

ი. ლუდუშაური

კეხვი და ქურთა ცხინვალის რაიონის ორი სხვადასხვა მეზობელი სოფელია. მაგრამ კეხველებს და ქურთელებს მეზობლობის გარდა საერთო საზრუნავიც აახლოებს. მეგობრობენ ამ ორი სოფლის ნორჩი თაობის წარმომადგენლებიც. ქურთას ბავშვთა სახლის გოგო-ბიჭები გოჭებს უვლიან, მათ თავიანთი საღორე აქვთ. კეხვის სკოლის მოსწავლეებს კი მებოცვრეობისათვის მოუკიდიათ ხელი. ხომ თითქოს სხვადასხვა საქმეს აკეთებენ ეს ნორჩები, მაგრამ აბა ჰკითხეთ თითოეულ მათგანს მეზობლების საქმიანობაზე, მათ წარმატებებსა და საზრუნავზე, და ნახავთ რა დაწვრილებით მოგიყვებიან ყველაფერს. სხვანაირად არც შეიძლება, რადგან ერთნიც და მეორენიც დარწმუნებულნი არიან, რომ ერთ დიდ საერთო საქმეში — სასურსათო პროგრამის განხორციელებაში შეაქვთ თავიანთი წვლილი.

ქურთას ბავშვთა სახლის აღსაზრდელებმა ახლახან ახალი ბოსელის მშენებლობა წამოიწყეს. ბოსელში ათმა ძროხამ დაიდო ბინა. ქურთელებმა მცირე ფერმის საკვებ ბაზაზეც დროულად იზრუნეს. ისე, რომ ისინი მთელ ზამთარს მშვიდად იქნებიან — ძროხებს საკვები არ შემოაკლდებათ, და ესე იგი, რძესაც საკმარისად მოიწველიან. ნორჩმა ქურთელებმა გადაწყვიტეს საკუთარი ფერმის რძით ცხინვალის რაიონის ყველა სკოლა-ინტერნატი და საშუალო სკოლების გახანგრძლივებული სწავლების ყველა ჯგუფი მოამარაგონ. რძე რა თქმა უნდა, კეხველებსაც შეხვდებათ და ქურთელებსაც დარჩებათ.

კარგად იშრომეს ცხინვალის რაიონის სკოლების მოსწავლეებმა გასულ ზაფხულს. ხეთაგუროვის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს დაეხმარნენ და მათი გულწრფელი მადლობაც დაიმსახურეს. ხეთაგუროველებმა ლობიოს დიდი მოსავალი მოიწიეს, ხოლო როცა მისი აღების დრო დადგა, დახმარებისთვის რაიონის სკოლებს მიმართეს. მხიარული ჟივილ-ხივილით მოედვნენ ბავშვები 96 ჰექტარს და მოკლე დროში მოკრიფეს ლობიო. მეურნეობაში ამბობენ, დიდი მოსავლის ნახევარი სწორედ მოსწავლეების ხელით არისო აღებული.

ი. ინაშვილი

როდესაც ქალაქ გორის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გაერთიანებულმა გოგო-ბიჭებმა სასურსათო პროგრამის განხორციელებაში საკუთარი წვლილის შეტანა გადაწყვიტეს, უფროსებმა ურჩიეს პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განყოფილებისთვის მიემართათ. ასეც მოიქცნენ. სასახლის აქტივის წევრები შეხვდნენ განყოფილების გამგეს ნ. ხოხაშვილს. მასთან საუბრის შემდეგ ნორჩებს სამოქმედო უბნად კარალეთის საბჭოთა მეურნეობა გამოეყოთ.

საზაფხულო არდადეგების მოახლოებისთანავე პიონერები რგოლებად დაიყვნენ. თითო რგოლში რვაათი გოგო-ბიჭი გაერთიანდა და შრომაც გაჩაღდა. ნაწილი მეცხოველეობის ფერმაში დატრიალდა, ნაწილი მებოსტნეებს წაეხმარა, ხოლო როცა მეურნეობის ბაღებში ხილის კრეფა დაიწყო, ყველანი მეხილეებს ამოუდგნენ მხარში. სამი ტონა სხვადასხვა ხილი მოკრიფეს პიონერებმა შარშან და კარალეთელთა მადლობაც დაიმსახურეს.

მომავალი არდადეგების დადგომამდე ნორჩი გორელები მართალია, ველარ ახერხებენ თავიანთ საშეფო მეურნეობაში ჩასვლას, მაგრამ მათი დახმარება მეცხოველეებისათვის ახლა, ასე ვთქვათ, დაუსწრებლად გრძელდება. ქალაქის ყველა მოსწავლეს, ვინც კი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეშია გაერთიანებული, თან მოაქვს საჭმლის ნარჩენები, სპეციალური მანქანა კი ყოველ ორშაბათს რეგულარულად ეზიდება მეღორეობის ფერმაში ბავშვების მიერ შეგროვილ საკვებს.

მათ შორის, ვისაც აქტიური წვლილი შეაქვთ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში, გორის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში თამრიკო მაზმიშვილს, ნანა წულუკიძეს, სოსო გელდიაშვილს, მალხაზ კრიხელს, ზვიად ხმალაძეს, გია დავითაშვილს, ირინე ლაფაჩს, ხათუნა ორჯონიკიძეს, მთვარისა არაბაშვილს, მამუკა ბერუაშვილს, ეკა მაღალაშვილს, რუსუდან რაზმაძეს, ხათუნა თათეიშვილს, ნინო გოჩალეიშვილს, მაია ქანაშვილს ასახელებენ.

მ. ყორანაშვილი

ტაძრისის საშუალო სკოლის ნებისმიერ მოსწავლეს რომ ჰკითხოთ, — ოქტომბრელი იქნება, პიონერი თუ კომკავშირელი, — გაკვეთილებს რომ ისწავლი, მერე რას აკეთებ ხოლმეო, ყველა სხვადასხვა გასართობსა და საქმეს დაგისახელებთ, მაგრამ თითოეული მათგანის პასუხში აუცილებლად გამეორდება: ბოცვრებს ვუვლითო.



გორელი პიონერები ვაშლის კრეფაში ეხმარებიან კარალეთელებს.

დიახ, ეს არცთუ ისე პატარა მებოცვრეობის სასკოლო ფერმა მთელი სკოლის საზრუნავია. თავდაპირველად აქ სულ რამდენიმე ბოცვერი ჰყავდათ. ახლა კი მათი რიცხვი ისე გაიზარდა, რომ ბავშვები სადგომის გაფართოებას ვერ აუდიან. მორიგი ნამატი კი — ასამდე ფაფუკი ბაჭია გოგო-ბიჭებმა სახლებში ჩამოირიგეს მოსავლელად და გასაზრდელად.

ტაძრისის საშუალო სკოლისნაირი ბორჯომის რაიონში კიდევ ოცია და ყველა მათგანს საკუთარი „ცოცხალი" მეურნეობა აქვს. მაგრამ, ალბათ, ახალდაბის სკოლა-ინტერნატის ნორჩ მეცხოველეებს ძნელად თუ ვინმე გაუტოლდება. აბა, გამოითვალეთ, რამდენი გოჭი უნდა გამოეზარდათ ახალდაბელებს, თუ მათ სახელმწიფოს ორი ათასი კილოგრამი ღორის ხორცი ჩააბარეს? ეს მარტო ახალდაბის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმა, ხოლო მთელი ბორჯომის რაიონის მოსწავლე გოგო-ბიჭებმა სახელმწიფოსთვის ჩაბარებულ დაპირებულ 12 ტონა ხორცს კიდევ 500 კილოგრამი მიუმატეს და უფროსების მადლობა დაიმსახურეს.

ლ. ჭრელაშვილი

აქტიური წვლილი შეაქვთ სასურსათო პროგრამის განხორციელების საყოველთაო საქმეში ფოთელ მოსწავლეებს. ნათქვამის დასადასტურებლად ვფიქრობთ, ორი ფაქტიც იკმარებს — „ცეკავშირის" ქალაქის განყოფილებამ ფოთელი მოსწავლეებისაგან სამი ათასამდე ბოცვერი და ხუთი ტონა ხორცი ჩაიბარა. ეს გასული წლის მაჩვენებლებია, წლეულს კი ნორჩი ფოთელები კიდევ უფრო მაღალი ვალდებულებების შესასრულებლად ირჯებიან.

სადაც არის გაზაფხული მოვა და ნაირფერად მორთავს ზღვისპირა ფოთის კოხტა ქუჩებს. აფეთქდება გზისპირებზე ჩამწკრივებული ხეხილი. ყველაზე მეტ სიხარულს კი ამ ხეთა ყვავილობა ფოთელ ნორჩებს მოუტანს, რადგან სწორედ მათ ჩაყარეს შარშან ეს ნერგები. რვა ათასი ძირი ხეხილი — ტყემალი, ვაშლი, ატამი დარგეს გოგო-ბიჭებმა მშობლიური ქალაქის ქუჩებში. ყველა ამ ნერგმა აუცილებლად უნდა იხაროს — ასე გადაწყვიტეს ბავშვებმა და რა თქმა უნდა, ისინი ყველა ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ ეს ასე მოხდეს.

ბ. იმნაძე

**როდამ ჩაჩანიძე**

მხატვარი
ედუარდ ამბოკაძე

# იზარდე, მწვანე ჭიჭილო!

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ვიგონებ 1961 წელს, როცა თევზსაჭერ ტრაულერ „შოთა რუსთაველზე" ვმუშაობდი კაპიტნის პირველ თანაშემწედ. მთელი შვიდი თვე გავატარეთ რეისში არგენტინისა და ურუგვაის ნაპირებთან, ეგრეთ წოდებულ პატაგონიის შელფში. ეს ჩემი ნაოსნობის მრავალწლიან ისტორიაში ყველაზე რთული და ფათერაკიანი რეისი იყო. მას შემდეგ ოცდაორი წელი გავიდა, მაგრამ გუშინდელ დღესავით მაგონდება ათი ივნისი, როცა გემის თევზის სამქროში წყალი შეიჭრა და უზარმაზარმა ტალღებმა კინაღამ ქვესკნელში გაგვიტაცეს. როგორც იქნა, გადავურჩით ხიფათს. საღამოს ჩემს კაიუტაში სამნი შევიკრიბენით; სამხრეთ ამერიკის ნაპირებთან მომუშავე საქართველოს თევზსაჭერი ფლოტილიის უფროსი იაკობ ფაცია, ჩვენი გემის უფროსი მექანიკოსი ნიკოლოზ ხუბუა და მე. სტიქიასთან ნაომარნი სულს ძლივს ვითქვამდით და ხმამაღლა გავიკვირვე, ათასობით პროფესიათა შორის, რაც ადამიანს მოუგონია, რაღა მაინცდამაინც მეზღვაურობა აირჩიეთ-მეთქი. ნიკოლოზ ხუბუამ ცერად გადმომხედა და თქვა:

— განა რა არის აქ გასაკვირი, ჩვენ ზღვის ენა ვიცით. გახსოვს, იაკობ? — და ღიმილით გადახედა იაკობ ფაციას.

— როგორ არ მახსოვს! მახსოვს, მე, შენ, მიშა ცქიტიშვილი და პლატონ საბანაძე რა გულმოდგინედ ვსწავლობდით ზღვის ენას. მაშინ ჯერ კიდევ წითელი ყელსახვევები გვეკეთა, მოუსვენარი ბიჭები ვიყავით...

ჩემი მოთხრობის ეს მონაკვეთი ოთხ გაბედულ მეზღვაურს მიანდა ვუძღვნა. ერთი მათგანი, პლატონ საბანაძე, მეტად მძიმე წლებში ხელმძღვანელობდა მურმანსკის თევზჭერის მთავარ სამმართველოს; მეორე, მიხეილ ცქიტიშვილი, საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს პირველი უფროსი იყო; იაკობ ფაცია მისი მოადგილე გახლდათ და ისიც ხშირად მიდიოდა ხოლმე რეისში, უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქართულ ფლოტილიას ოკეანეში. ნიკოლოზ ხუბუა შესანიშნავი უფროსი მექანიკოსია, დღესაც დაცურავს და მთელ ფლოტში სანიმუშო კაცად ითვლება.

მაშ ასე, გადავფურცლოთ წიგნის ახალი თავი —

## ზღვის ენა

საკმაოდ განიერი მდინარე ქალაქს ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფდა. შესართავთან წყალი იტოტებოდა და პაწაწინა კუნძულებს ქმნიდა.

შესართავის ხელმარჯვნივ ნავსადგურის შუქურას კოშკი იდგა. ძლიერი ზენა ქარი რომ დაუბერავდა, მთელ ამ არემარეზე ერთადერთი მყუდრო ადგილი ნავსადგური გახლდათ. ნავსადგომთან ყოველთვის იცდიდა რვაათი გემი. იქვე ქარხანა იდგა. ის და ნავსადგური ერთმანეთს ვიწრო არხით უკავშირდებოდა. სწორედ ამ არხის ნაპირას მშენებლებმა სამსართულიანი სკოლის შენობა ააგეს.

მეორე სართულზე, დერეფნის დასაწყისში, მეექვსე „ბ" კლასი მეცადინეობდა. საკლასო ოთახის ფართო ფანჯრიდან კარგად ჩანდა ნავსადგური, სადაც ზანტად ირწეოდნენ დიდი გემები.

ნაშუადღევს, როცა მოსწავლეები შინ ბრუნდებოდნენ, იაშა ფაცია რაიმე საინტერესო ამბავს წამოიწყებდა ხოლმე. მერე კი, იაშა თავისი ეზოს ჭიშკარში რომ გაუჩინარდებოდა, თხრობას კოლია ხუბუა გააგრძელებდა. საჭმელს რომ მიირთმევდა, მაშინაც კი თვალები ქვემეხის მაკეტებისაკენ გაურბოდა, რომლებითაც სავსე იყო არა მარტო მისი სამეცადინო კუთხე, არამედ სამზარეულოს თაროებიც. კოლია ამ მაკეტებს თვითონ ამზადებდა. სჯეროდა, მალე შექმნიდა ისეთ ქვემეხს, მტერს რომ კუდით ქვას ასროლინებდა.

სადაცაა არდადეგები უნდა დაწყებულიყო. ბაღი უკვე შეთვალდა და იროდი ბასილაიას ბაღს კარგი დღე არ ადგა. ონავრები ტრიფოლიატის ღობეს თავს გადაევლებოდნენ და იწყებოდა თეთრ სამურაბე ბლებზე ტოტების ლაწალუწი. ხანდახან იროდი წაასწრებდა ხოლმე. ერთს დაიყვირებდა და ბიჭების კვალიც წამსვე ქრებოდა.

იმ დღესაც, გაკვეთილების შემდეგ ბიჭებმა ბასილაიას ბაღისაკენ შეუხვიეს. ის იყო ღობეზე უნდა გადასულიყვნენ, რომ ერთბაშად თვალი მოჰკრეს ბაღისაკენ მომავალ მეზღვაურის ფორმაში გამოწყობილ შუახნის კაცს. ჯერ კოლია დაფრთხა და უკან დაიხია, მერე მას იაშაც მიჰყვა და ღობეს აეკრა. ამ დროს ის კაცი სულ ახლოს მოვიდა.

— კარგ დროს მოხვედით, ბიჭებო. მე ხეზე ასვლას რატომღაც ვერ ვახერხებ. აბა, ერთი თქვენებურად ადით, კალათიც აიტანეთ, ცოტა ჩვენთვისაც მოკრიფეთ. — მეზღვაურმა იაშას ბლის ძირში მიგდებულ კალათზე მიუთითა. იაშამაც მაშინვე დაავ-

ლო ხელი, ის და კოლია თვალის დახამხამებაში ხის კენწეროს მოევლნენ თავს. გაპიპინებული კალათით ძირს რომ დაეშვნენ, მეზღვაურმა მადლიერი ღიმილი შეაგება.

— აი, ბატონო, ინებეთ, — თქვა იაშამ. კოლია კი იდგა და ხარბად ათვალიერებდა მეზღვაურის კოხტა ფორმას.

— ძია, თქვენ კაპიტანი ხართ? — გაბედა ბოლოს კითხვა.

— კი, კაპიტანი ვარ.

— ალბათ ბევრი ქვეყანა გინახავთ?

— ძალიან ბევრი.

— შეიძლება, რომ ჩვენც გავხდეთ მეზღვაურები?

— რასაკვირველია, შეიძლება.

საღამოს, შინისაკენ რომ გარბოდა, კოლია ნინოშვილის ქუჩაზე ერთსართულიან სახლთან შეჩერდა. შეჩერდა და მაშინვე კედელს აეკრა, სმენად იქცა. ფართო სარკმლიდან მუსიკის ხმა ისმოდა. ვიღაც ფორტეპიანოზე უკრავდა.

კოლიამ ფეხსაცმელი გაიძრო, თითის წვერებზე აიწია, ორთავე ხელით ფანჯრის რაფას მისწვდა, მერე ტანი მსუბუქად აითრია და მკერდით რაფას ჩამოეყრდნო. უკვე კარგად ხედავდა მთელ ოთახს. პირდაპირ, კედელთან, როიალი იდგა. სახურავი ბოლომდე ჰქონდა ახდილი. კედელზე, ქალისა და კაცის შავ ჩარჩოში ჩასმული ფოტოები ეკიდა.

როიალს ნაწნავებიანი გოგონა მისჯდომოდა და გატაცებით უკრავდა.

კოლიამ ხელები რაფას შიგნიდან მაგრად ჩაავლო, მუცლით გადაწვა და გაისუსა. უცებ, იგრძნო, რომ მხრებში ვიღაც მძლავრად ჩააფრინდა. კოლიამ გაიბრძოლა, მაგრამ იმ ვიღაცამ იმარჯვა და ბიჭი ფანჯრიდან ოთახში გადაათრია. ხმაურზე გოგონამ დაკვრა შეწყვიტა. წამოდგა და ფანჯრისაკენ შემობრუნდა. კოლიას წინ დაბალი კაცი იდგა და ცისფერი, ეშმაკური თვალებით იყურებოდა.

— გიყვარს შოპენი, ყმაწვილო?

ბიჭი დაბნეული მისჩერებოდა იმ კაცს.

— შენ გეკითხები, გიყვარს-მეთქი შოპენი?

კოლია რასაკვირველია, ხვდებოდა, რომ მას ეკითხებოდნენ, მაგრამ არ იცოდა, რა ეპასუხა.

— როგორც ჩანს, გიყვარს, თორემ მის მოსასმენად არ მოხვიდოდი, — დაასკვნა ბოლოს იმ კაცმა და გოგონას მიუბრუნდა: — თამარ, განაგრძე მეცადინეობა.

— უკვე დავამთავრე, მამა, ორი საათია, ვუკრავ.

— ჰოო, — თქვა იმ კაცმა, — მაშ ამ ყმაწვილს ძალიან დაუგვიანებია. კიდევ კარგი, რომ ბილეთში ფული არ დაუხარჯავს.

გოგონამ გაიღიმა და ოთახიდან გავიდა. ბიჭი მარტო დარჩა კაცთან და უხერხულად შეიშმუშნა.

— მოდი, გავიცნოთ ერთმანეთი, მე გიორგის მეძახიან, მუსიკის მასწავლებელი ვარ. შენ რა გქვია? — იკითხა იმ კაცმა.

— კოლია.

— კეთილი. ერთი ეს მითხარი, ხშირად მოდიხარ აქ მუსიკის მოსასმენად?

ხუბუამ დაბღვერით ახედა.

— არა, დღეს პირველად ვარ. შემთხვევით გამოვიარე, მუსიკის ხმა გავიგონე, ვიფიქრე, რა უკრავს-მეთქი.

—ო-ჰო... ხედავთ, დღეს პირველად მოსულა! აბა ის ვინ იყო, გუშინ ცაცხვზე რომ იჯდა და იქიდან იყურებოდა? განა ის ხეხტუნია შენ არა ხარ? თუ შენი ტყუპისცალი იყო?

კოლიამ თავი ჩაღუნა.

— გამოდის, რომ პირველად არ გვსტუმრებიხარ. ეს მაინც მითხარი, რა გიყვარს? თქვი, რას დამუნჯდი!

— მეზღვაური უნდა გავხდე, — როგორც იქნა, ამოღერღა კოლიამ და თავი ასწია.

—ჰოო, ეგ საინტერესოა. მაშ, მაინცდამაინც მეზღვაური უნდა გახდე? მოდი, ჩამოჯექი.

კაცმა სკამი მიაწოდა, კოლია დაჯდა.

— მაშ ესეც მითხარი, აი, ზღვასთან თუ გისაუბრია?

კოლიამ გაიღიმა.

— ზღვასთან საუბარი როგორ შეიძლება!

— შეიძლება, როგორ არა. ვისაც ზღვა უყვარს, მას შეუძლია კიდეც ესაუბროს ზღვას. მეზღვაურმა სულ პირველად ზღვის ენა უნდა ისწავლოს, ცურვაზე ადრეც კი. თუ ზღვის ენა არ იცი, მეზღვაურად არ გამოდგები. საერთოდ, კაცმა მარტო ზღვის კი არა, მთელი ბუნების ენაც უნდა იცოდეს, უნდა ამჩნევდეს ფერებს, ხმებს, მთელ სილამაზეს. აი, ხომ არის თეთრი და შავი... სიჩუმე, აბსოლუტური სიჩუმე და საოცარი ბგერები, ჰანგები, რომლებიც ადამიანთა ჯადოსნობით უცბად განიფანტებიან ხოლმე და გვხიბლავენ, სხვა სამყაროში მივყავართ... უნდა შეეძლოს ყოველივე ამის შეგრძნობა და აღქმა. თუ ეს არ შეგიძლია, კაპიკად არ ივარგებ...

მეორე დღეს, როცა იაშასთან ერთად ზღვის სილიან სანაპიროს მიუყვებოდა, კოლია უეცრად შეჩერდა, ზღვას მიაშტერდა. მერე იაშას ხალათის საყელოზე წაავლო ხელი.

— იაშა, ზღვის ენა იცი?

იაშა შემობრუნდა, დაკვირვებით შეხედა მეგობარს, მერე ცისფერ თვალებში ეშმაკური ღიმილი ჩაუდგა.

— როგორ არა, მშვენივრადაც ვიცი.

კოლიამ მკლავზე ხელი მოუჭირა და ჩურჩულით უთხრა:

— არ მომატყუო, იაშა! დედას გაფიცებ, არ მომატყუო! მართლა იცი ზღვის ენა?

— აკი გითხარი, ვიცი-მეთქი. მე და ზღვა ყოველ დილა-საღამოს ერთმანეთს ათასნაირ საოხუნჯო ამბებს ვუყვებით. ხანდახან ისე მაგრად ვიცინით, ცა იქუფრება და მერე კოკისპირული წვიმა მოდის.

— დამცინი?

— არაფერსაც არ დაგცინი, სიმართლეს ვამბობ. — იაშამ გაკვირვებით შენიშნა, როგორ აუწყლიანდა მეგობარს თვალები. — რა მოგდის, ბიჭო, გეხუმრები. აბა, ეგ რამ გაფიქრებინა? ზღვას რა ენა უნდა ჰქონდეს!

— არა! — დაიყვირა კოლიამ. — ზღვა ლაპარაკობს, იცინის, ტირის. გესმის? ჩურჩულიც იცის, ზოგჯერ ხმელეთსაც ეფერება. ეს მე ერთმა კაცმა მითხრა.

— ჰოო?.. — თქვა გაკვირვებულმა

იაშამ, — აბა დავუგდოთ ყური, იქნებ მართალიცაა ის კაცი...

ბოლო ზარი რომ დაირეკა, კოლია პირველი გამოვარდა საკლასო ოთახიდან. ის იყო, კიბეზე კისრისტეხით უნდა დაშვებულიყო, რომ უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ნანიმ შეაჩერა.

— ხუბუა! სწორედ შენ გეძებ, წამოდი ჩემთან!

კოლია მაშინვე გაჰყვა ნანი ხელმძღვანელს. თანაც მთელი გზა, სანამ პიონერთა ოთახამდე მიაღწევდნენ, თავს იმტვრევდა, ვინ დამაბეზღაო — იროდი ბასილაიამ, მუსიკის მასწავლებელმა — იმ უცნაურმა კაცმა, თუ ვინმე სხვამ.

**პიონერთა ოთახში რომ შევიდნენ,** უფროსი პიონერხელმძღვანელი მაგიდას მიუჯდა და კოლიას თვალი გაუსწორა:

— ჩვენთან ნორჩ ტექნიკოსთა წრეს ვაყალიბებთ, გამოფენასაც მოვაწყობთ. შენი დამზადებული ქვემეხის მაკეტები მოიტანე. სწორედ რომ დაამშვენებს გამოფენას.

კოლიამ თავისუფლად ამოისუნთქა.

— ნანი ხელმძღვანელო, ქვემეხების მაკეტებს რომ აღარ ვაკეთებ?

— რატომ?! — გაიკვირვა ნანიმ.

კოლიამ თავი დახარა, გაიფიქრა, ღირდა თუ არა ნანისათვის ყველაფრის გულახდილად თქმა.

— ჰო, თქვი, რატომ დაანებე თავი ამ საქმეს?

— ახლა გემის მაკეტებს ვაკეთებ, — დაფქვა ბოლოს ბიჭმა.

— მართლა? ესეც კარგი საქმეა, — მოუწონა ნანიმ. — მარტო მუშაობ?

— არა.

— აბა ვინ გეხმარება?

— იაშა ფაცია, პლატონ საბანაძე და კიდევ ერთი, გორელი ბიჭი, მიშა ცქიტიშვილი.

— არ შეიძლება, მე რომ ვნახო?

— როგორ არა, მაგრამ ჯერჯერობით სანახავი ბევრი არაფერია, ერთი დიდი მორიდან მხოლოდ კორპუსი გამოვრანდეთ.

— ბიჭოს! თქვენ უკვე საზღვაო ტერმინებიც აითვისეთ?

— პლატონ საბანაძემ კარგად იცის გემი.

— ეგ პლატონი ვინაა, ჩვენს სკოლაში ასეთი ვინმე რაღაც არ გამიგონია.

— ჩვენთან ახლოს ცხოვრობს. ბევრი წიგნი აქვს ზღვასა და ნაოსნობაზე. — უეცრად ხუბუას ერთმა აზრმა გაუელვა და უფროს პიონერხელმძღვანელს თვალი გაუსწორა. — ნანი ხელმძღვანელო, თქვენ თუ მოგისმენიათ ზღვის საუბარი?

ნანის გაეღიმა და კოლიას გასაოცრად, სრულიად უბრალოდ თქვა:

— ბიჭო, ზღვის პირად დავიბადე, აქვე გავიზარდე, როგორ შეიძლება ზღვის ბუტბუტი არ მომესმინოს. ანდა კიდევ, როცა გულს მოიცემს და ლომივით აღრიალდება, ძარღვებში სისხლს რომ გაგიყინავს...

— მაშ, იცით ზღვის ენა?

— თუ ყოველივე ამას ზღვის ენას ვუწოდებთ, რასაკვირველია, ჰო, ვიცი. — ნანი ხელმძღვანელი წამოდგა, ბიჭს მხარზე დაადო ხელი. — როდის მანახებთ გემის მაკეტს?

— მეგობრებს მოველაპარაკები და ხვალ ყველაფერს გეტყვით.

— იაშა ფაციას მე მოველაპარაკები, — თქვა ნანიმ.

იაშა ის იყო სკოლის ეზოს ჭიშკრიდან უნდა გასულიყო, რომ უფროსი პიონერხელმძღვანელის ძახილი შემოესმა.

ფაცია შემოტრიალდა და მონუსხულივით გაჩერდა.

— გავიგე, თურმე გემის მაკეტს ამზადებთ.



იაშას გაეცინა.

— გემის მაკეტს რომ დაამთავრებთ, უეჭველად უნდა მაჩვენოთ. თუ მომეწონა, მოდელისტთა შეჯიბრებაში მივაღებინებ მონაწილეობას...

— სად ეწყობა ეს შეჯიბრება, ნანი ხელმძღვანელო?

— ჯერ ჩვენთან. მერე კარგი მოდელები საქალაქო შეჯიბრებაზე გაიგზავნება, კიდევ უფრო უკეთესები — თბილისში. გამარჯვებულები პრიზებს მიიღებენ.

— ოჰო! — წამოიძახა ფაციამ და ჩანთა ბეჭზე მოიგდო. — კარგი, რამეს მოვახერხებთ.

— ერთიც: ამ დღეებში ჩვენი სკოლის პიონერები შეხვედრას მოვუწყობთ შორეული ნაოსნობის ცნობილ კაპიტანს გერასიმე კუნჭულიას. გაითვალისწინეთ ეს.

ყველაზე ადრე პლატონი მოვიდა. გაიხედ-გამოიხედა. ვერავინ რომ ვერ დაინახა, ასკილის ბუჩქის გვერდით ბიბინა ბალახში ჩაჯდა და ადიდებულ მდინარეს გადახედა.

მზე უკვე შუბისტარზე იდგა. ცხელოდა. საცაა, კარს შემოაღებდა ზაფხული. სულ მალე პლატონმა თვალი მოჰკრა, მდინარის გასწვრივ შარაგზიდან, როგორ გადმოუხვია მაღალმა ყმაწვილმა და ჩქარი ნაბიჯით მისკენ წამოვიდა.

— ჯერ არავინ მოსულა?

პლატონს მიშა ცქიტიშვილისაკენ არც კი გაუხედავს, ისევ მდინარეს გაჰყურებდა.

— ხომ ხედავ, იგვიანებენ.

— აქ დავუცადოთ?

— აბა სადა? საცაა, მოვლენ.

სწორედ ამ დროს იმ პატარა ბორცვისაკენ მომავალი იაშა ფაცია და კოლია ხუბუაც გამოჩნდნენ. სწრაფად მოდიოდნენ. პლატონმა გვერდულად გახედა და მერე მიშას მიუბრუნდა:

— წავიდეთ! — პლატონი წამოდგა, ფეხსაცმელები გაიხადა, ტანსაცმელი შეახვია და ასკილის ბუჩქებში დამალა. მდინარისაკენ ნელა წავიდა, შევიდა შიგ, ორივე ხელით წყალი მოხაპა და ტანზე შეისხა. მას სხვებიც მიჰყვნენ.

ბიჭები ზედ შესართავში ამოჩრილი კუნძულისკენ მიცურავდნენ. თეფშივით ეგდო წყალში ნამცეცა მიწა, სულ ჯაგნარით იყო დაფარული, გეგონებოდა, ტრიალ მინდორზე შეშინებული ზღარბი გარინდულაო.

კუნძულზე ასულებმა სული მოითქვეს, მერე ვიწრო ბილიკს, ქაცვიან ბუჩქნარებს შორის რომ მიდიოდა, სიღრმეში შეჰყვნენ. ხუთიოდე წუთი იარეს და ერთბაშად მათ წინ პატარა ფიცრული აღიმართა. იმ ფიცრულში ოდესღაც სვანეთიდან გადმოხვეწილი ერთი კაცი ბინადრობდა თურმე. მოსულა ამ კუნძულზე, მოსწონებია აქაურობა და პატარა სახლიც დაუდგამს. მთელი ორი წელი უცხოვრია. მერე, ერთ მშვენიერ დღეს, თავისი ხაბაკხუბაკი ისევ შეუკრავს და სადღაც წასულა. ამ ორიოდე წლის წინათ პლატონმა აღმოაჩინა შემთხვევით ეს უპატრონო ქოხი.

ყველაზე წინ საბანაძე მიდიოდა. კარის წინ ლოდი რომ ეგდო, ხელი მის ქვეშ მოაფათურა და გასაღები გამოიღო, უშველებელ ბოქლომს მოარგო და გააღო. ბიჭები ერთმანეთის მიყოლებით შევიდნენ მომცრო ოთახში. მიშა მაშინვე ფანჯარას მივარდა და დარაბები გახსნა. ოთახი ერთბაშად განათდა. გამოჩნდა შუაში მდგარი კვადრატული მაგიდა, ტაბურეტები, ფანჯარასთან რაღაც დივანის მაგვარიც ჩანდა. მაგიდაზე გემის მოდელი იდო. ჯერჯერობით მხოლოდ კორპუსი იყო გამოკოპიტებული.

პლატონმა მოდელს დახედა.

— დღეს ასე გავანაწილოთ სამუშაო, — თქვა მან და თვალი ბიჭებს მოავლო, — მიშა კორპუსის ამოღებაზე იმუშავებს. კოლია — ზედნაშენის გასუფთავებაზე, იაშა — ანძებზე. გასაგებია?

— ყველაფერი დღესავით ნათელია, — თქვა იაშამ.

პიონერთა ოთახში ტევა არ იყო, წითელყელსახვევიან გოგო-ბიჭებს ყველა კუთხე დაეკავებინათ.

ზუსტად სამ საათზე დერეფანში მეზღვაურის ფორმაში გამოწყობილი ოთხი კაცი გამოჩნდა. ერთი წინ მოაბიჯებდა, სამი ცოტა მოშორებით მოჰყვებოდა. მათ ნანი ხელმძღვანელი მიეგება, ხელი ჩამოართვა და წინ გამოუძღვა. როგორც კი მეზღვაურები პიონერთა ოთახში გამოჩნდნენ, იაშამ კოლიას იდაყვი წაჰკრა.

— ხედავ, ვინ მოვიდა? ძია იროდის ბლის ბაღში რომ ვნახეთ, კალათი რომ მოგვაწოდა.

— ისაა, — ჩაიჩურჩულა კოლიამ. — ნეტავ თუ გვიცნობს?

იმ კაცმა ერთი კი მოავლო პიონერებს თვალი, მაგრამ კოლიასა და იაშას მიმართ რაიმე განსაკუთრებული ყურადღება არ გამოუჩენია.

დაიწყო შეხვედრა. ხის დაბალ ტრიბუნასთან უფროსი პიონერხელმძღვანელი დადგა.

— პიონერებო, — თქვა მან, — დღეს ჩვენი სტუმრები არიან სახელოვანი გემის „საქართველოს" ეკიპაჟის წევრები — შორეული ნაოსნობის სახელგანთქმული კაპიტანი გერასიმე კუნჭულია და მისი თანაშემწეები. „საქართველოს" ეკიპაჟის წევრებმა ჩვენი სკოლის შეფობა იკისრეს. მეზღვაურთა ეს დიდი ყურადღება ბევრ რამეს გვავალებს, უპირველეს ყოვლისა კი — ბეჯით სწავლას. კარგი სწავლითა და ყოფაქცევით მშობლებიც გავახაროთ და სკოლაც. — ნანიმ შეისვენა, თვალი მოავლო გაყუჩებულ ბავშვებს და განაგრძო: — იმასთან დაკავშირებით, რომ მეზღვაურები ჩვენი შეფები ხდებიან, გადავწყვიტეთ დღეიდან სკოლის ტრადიციულ ფორმად საზღვაო კურსანტის ფორმა გამოვაცხადოთ.

იაშა ფაციამ კოლიას გადახედა, გაუღიმა და უცბად ტაში შემოკრა. მას მთელი დარბაზი აჰყვა. მეზღვაურები ფეხზე წამოდგნენ, მათაც ტაში დაუკრეს.

უფროსი პიონერხელმძღვანელის შემდეგ ტრიბუნასთან გერასიმე კუნჭულია მოვიდა, ცისფერი, ზღვასავით ლივლივა თვალები დარბაზს მოავლო და დინჯად დაიწყო:

— დღეს მშვენიერი დღეა. მშვენიერია იმიტომ, რომ პირისპირ ვდგავართ მომავალი თაობის წინაშე, რომელიც ხვალ ჩვენს მაგივრად დადგება ჩარხებთან ან გემის საჭესთან, სახელმწიფო პოსტებზე და მოგუგუნე ტრაქტორებთან. საქმე ბევრია, ძალიან ბევრი და თქვენს გამოჩენას უცდის.

ახლახან რეისიდან დავბრუნდით, საკმაოდ ბევრი ხიფათი და ფათერაკი შეგვხვდა, მაგრამ მეზღვაურები ხიფათს არ ეპუებიან, რადგან თუ ზღვა გიყვარს, არც მისი გაბრაზებისა გეშინია. — კაპიტანმა თვალი გაუსწორა კოლია ხუბუას, თითქოს გაუღიმა კიდეც და დასძინა: — დღეს თქვენთან ხელცარიელი არ მოვსულვართ. თან მოგიტანეთ მცირედი სუვენირი — ვენეციური გონდოლისა და ჰოლანდიური წისქვილის მაკეტები.

ერთი მეზღვაური წამოდგა, ოთახის კუთხეში დადგმულ მოზრდილ კოლოფს მისწვდა, ფრთხილად შეხსნა წითელი ზონარი, ორივე ხელი ასევე ფრთხილად შიგ ჩაყო, იქიდან ვერცხლისფერი, კოხტა გონდოლა ამოაძვრინა და კაპიტანს მიაწოდა. მერე ხელი ისევ ჩაყო კოლოფში და ამჯერად ლამაზი ქარის წისქვილის მაკეტი ამოიღო.

●

შინ რომ ბრუნდებოდნენ, კოლია ხუბუამ იაშას გადახედა. იაშა მის გვერდით დინჯად მიაბიჯებდა, ცისფერი თვალები ფართოდ გაეხილა, გეგონებოდათ, ქუჩას კი არა, ცას გაჰყურებსო.

— ბედნიერი კაცია, არა? — თქვა ხუბუამ.

— ვისზე ამბობ?

— ვისზე უნდა ვამბობდე! ის კაპიტანი!

— ჰო, მასეა, — ამოიოხრა ფაციამ. — მაინც რამდენს დადიან, როგორ უძლებენ?

— მაგარი ხალხია მეზღვაურები!

— ალბათ. შენ არ გინდა მეზღვაური გახდე?

კოლია შეჩერდა.

— მინდა, მაგრამ...

— რა „მაგრამ“? — გაიცინა იაშამ.

— ალბათ ძალიან ძნელია. ჩვენ ვინ გაგვრევს მაგ საქმეში.

— რატომ? ისინიც ხომ ოდესღაც ჩვენსავით ბალღები იყვნენ. მერე გაიზარდნენ და მეზღვაურები გახდნენ.

კოლია დაფიქრდა. მერე სახე მასაც გაეხსნა.

— თუმცა, კაცმა რომ თქვას, მართალი ხარ. რა არის გასაკვირი? იმ კაპიტანმაც ხომ გვითხრა, უნდა შეგვცვალოთო. ჰოდა, დადგება დრო, როცა მათი შეცვლა მოგვიწევს...

●

მეორე დღეს კუნძულზე, ფიცრულ ქოხში რომ შეიკრიბნენ, პლატონ საბანაძემ თქვა, სკოლაში დიდი ღონისძიება ჩაგიტარებიათო და მიშა ცქიტიშვილს თვალი ჩაუკრა.

— მართლაც დიდი ღონისძიება ჩავატარეთ, მეზღვაურებს შევხვდით — მათ ჩვენი სკოლის შეფობა გადაწყვიტეს — უპასუხა კოლია ხუბუამ.

— ჰოდ, — ჩაიქირქილა პლატონმა, — მერედა, რა უნდა გაგიკეთონ მეზღვაურებმა, თქვენს მაგივრად უნდა ისწავლონ?

— არა, ჩვენს მაგივრად რატომ უნდა ისწავლონ! სწავლას ჩვენც ვართმევთ თავს. როცა მათი გემი აქ ჩამოდგება, წაგვიყვანენ, ყველაფერს დაგვათვალიერებინებენ. სკოლაში გემთსამოდელოს გავხსნით და მის მოწყობაში შეფი მექანიკოსები დაგვეხმარებიან.

პლატონ საბანაძეს ხელში გემის კორპუსის მოდელი ეკავა. ნელა დადგა მაგიდაზე და მერე ცქიტიშვილს გახედა.

— რაც რომ ადამიანმა შორეული ნაოსნობა დაიწყო, გემი ყოველთვის სამი მთავარი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველია ნავი, რომელზედაც განლაგებულია ხომალდის ყველა ატრიბუტი; მეორე — მართვის საშუალებანი, ახლა სამანქანო განყოფილებას რომ ეძახიან (ნაოსნობის განთიადზე კი ამ საქმეს ნიჩბები აკეთებდა); ბოლოს კიდევ — ხრახნი, რომელიც გემს მანევრირების საშუალებას აძლევს. ამ სამი ძირითადი ნაწილისაგან პირველი — ნავი — შესანიშნავად გამოვაკოპიტეთ.

— შენ რომ ამბობ, დაგრეხილი რეზინი შესრულებს ძრავას მოვალეობასო, მითომ გასწევს ამდენ სიმძიმეს? — იკითხა ხუბუამ.

— გასწევს და მერე როგორ!

— მოდით, ამ გემს „ოცნება“ დავარქვათ. — თქვა ხუბუამ.

პლატონ საბანაძემ ყურები ცქვიტა.

— „ოცნება“ დიდებული სახელია. იყოს ნება შენი, დავარქვათ.

●

მოდელების შეჯიბრი თორმეტ საათზე იყო დანიშნული. თერთმეტი იქნებოდა, პალიასტომის ტბის დასავლეთ ნაპირს წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭები რომ მოადგნენ. ერთ საათში იმდენი პიონერი და მოსეირე მოგროვდა, ტარიელ მილიციონერს დიდი საქმე გაუჩნდა, მთლად გაოფლიანებული დარბოდა და მოჯარულ ხალხს ენერგიულად სწევდა უკან.

დანიშნულ დროს შეჯიბრების მომწყობი კომისიის წევრებიც გამოცხადდნენ. ტარიელ მილიციონერმა ერთხელ კიდევ მისწი-მოსწია ხალხი და კომისიის წევრები ტბის პირას მდგარი მაგიდისაკენ გაატარა. ცოტა ხანიც რომ გამოხდა, კომისიის ერთ-ერთმა წევრმა გამოაცხადა, შეჯიბრება იწყებაო, და მოდელების გაშვების უფლება პირველი საშუალო სკოლის პიონერებს მისცა.

შვიდი ბუთხუზა ბიჭი წინ გამოვიდა. შვიდივეს ხელში გემის ლამაზი მოდელები ეკავა. ბიჭები ტბასთან მივიდნენ და მოდელები წყალში ჩაუშვეს, რეზინი ნელ-ნელა ჩახრახნეს, ისე, რომ მოდელისათვის ხელი არ გაუშვიათ. ხელი მხოლოდ მაშინ უშვეს, როცა მაგიდასთან მჯდომი მაღალი, გამხდარი ძია ფეხზე წამოდგა და მთელი ხმით დაიძახა: გაუშვითო.

ხუთი მოდელი მაშინვე ტბის სიღრმისაკენ დაიძრა. ორმა იქითკენ წასვლა რატომღაც არ ისურვა, მალე შემობრუნდნენ და ნაპირს მოადგნენ. პატრონებმა სცადეს, მათთვის მიმართულება შეეცვლევინებინათ, მაგრამ ამაოდ. კომისიის წევრებმა, რასაკვირველია, მათი პატრონები მაშინვე მოხსნეს შეჯიბრებიდან. დარცხვენილმა ბიჭებმა გემებს ხელი დასტაცეს და ხალხს შეერივნენ.

ის ხუთი მოდელი კი ისევ მიცურავდა სიღრმისაკენ. სამი ბარე ოცდაათიოდე მეტრზე გაცურდა და დადგა. ორმა ცოტა უფრო შორს გაუტია, მაგრამ დიდად მაინც არ დაშორებიან იმ სამს. დადგნენ თუ არა, ერთმა ყმაწვილმა, ნიჩბებიან ნავში რომ იჯდა ნაპირთან ახლოს, ხელი სტაცა ნიჩბებს და გაცურდა, სწრაფად მიუახლოვდა მოდელებს, ცალ-ცალკე



აიტაცა და ნავში ფრთხილად ჩადგა. მერე სტარტზე მეორესკოლელები დადგნენ. მათაც, იმ მაღალი კაცის დაძახებისთანავე, შეაცურეს მოდელები. არც ეს მოდელები წასულან უფრო შორს. ის იყო ოცდაათმეტრიან ზღუდეს გადასცდნენ და დადგნენ კიდეც. ასევე დაემართათ მესამესკოლელებსაც.

მეოთხესკოლელები რომ გამოიძახეს, სტარტზე თორმეტი ბიჭი დადგა. ყველას საზღვაო სასწავლებლის კურსანტის ფორმა ეცვა. კომისიის წევრებმა ერმანეთს გადახედეს და გაეცინათ. მაღალმა კაცმა, ბრძანებებს რომ იძლეოდა, თქვა, რეკორდსმენი ამათ შორის თუ არ აღმოჩნდა, მეზღვაურის ფორმა ყველას აქვე უნდა გავხადოთო.

იაშა და კოლია პიონერების ამ ჯგუფში მარჯვენა მხარეს, განაპირას იდგნენ. იაშას ხელში გემის მოზრდილი მოდელი ეკავა. ჩანდა წითელი, ლამაზი ასოებით ამოყვანილი წარწერაც — „ოცნება“. მაღალმა კაცმა რომ ბრძანა, მოდელები წყალში ჩაუშვითო, იაშა დაიხარა და „ოცნება“ ფსკერით კამკამა წყალს შეეხო. მერე კოლიაც დაიხარა და ხრახნს მისწვდა, დაქოქა. ამ დროს მოდელების გაშვების ბრძანებაც გაისმა და კოლიამ „ოცნებას“ ოდნავ უბიძგა.

მთელი ამ დროის განმავლობაში პლატონ საბანაძე და მიშა ცქიტიშვილი მათ უკან, ხალხში იდგნენ.

„ოცნებამ“ მყისვე მძლავრი სტარტი აიღო. სულ რაღაც რამდენიმე წამში ყველა მოდელი უკან ჩამოიტოვა და ლაღად გაუტია წინ.

იაშამ მთელი მკერდით ამოისუნთქა, შემობრუნდა, პლატონსა და მიშას შეხედა და თვალი ჩაუკრა. ამასობაში „ოცნება“ სულ უფრო და უფრო წინაურდებოდა. სხვა მოდელებიდან ზოგი გაჩერდა, ზოგი ზანტად მიცურავდა. „ოცნებამ“ რომ ორმოცმეტრიანი ზღუდე გადალახა, კოლია ხუბუამ რაღაც დაიყვირა, იაშამ მას მხარზე ხელი დაჰკრა, „ოცნება“ ახლა ორმოცდაათმეტრიან ზღუდეს უახლოვდებოდა. ისიც ენერგიულად გადალახა, ცოტაც კიდევ გაიქროლა და დადგა.

მაღალი კაცი, განკარგულებებს რომ იძლეოდა, ფეხზე წამოვარდა, ორივე ხელი ჰაერში აღმართა და მთელი ხმით დაიბუბუნა:

— აი, ყველაზე კარგი მოდელი, რომელიც მე მინახავს! პირველი ადგილი „ოცნებას“!

## გოლოთქმა

**ნიკოლოზ ხუბუა იგონებს:**

— „ოცნებამ“ კიდევ ბევრჯერ გვასახელა, როგორც ჩვენ, მისი შემქმნელები, ასევე მთელი სკოლა და ჩვენი შეფი მეზღვაურები, რომლებიც ბევრს აკეთებდნენ იმისათვის, რომ სკოლის გემთსამოდელო საუკეთესო ყოფილიყო. აქ დამზადებული მოდელები ყოველთვის საპრიზო ადგილს იკავებდნენ საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. ჩვენ, ოთხივემ — პლატონ საბანაძემ, მიხეილ ცქიტიშვილმა, იაშა ფაციამ და მე — საბოლოოდ გადავწყვიტეთ მეზღვაურები გავმხდარიყავით. ერთ მშვენიერ დღეს, როცა მე ტექნიკუმში მერხს მივუჯექი და პირველი ლექციის მოსასმენად მოვემზადე, მაღალმა, გამხდარმა კაცმა, დიდ მაგიდასთან გემის უშველებელი მაკეტის წინ რომ იდგა, ამათვალიერ-ჩამათვალიერა, მერე გამიღიმა და ყველას გასაგონად დაიძახა:

— ბიჭო, ის თქვენი „ოცნება“ რა უყავით?

მაშინვე ფეხზე ავდექი.

— სკოლაშია, მასწ... პიონერთა ოთახში...

— ჰოო, — გააგრძელა მაღალმა კაცმა. — ძალიან კარგი მოდელი იყო. — მერე დაფიქრდა, კვლავ შემომხედა და მკითხა: — ის ბიჭები რა იქნენ, შენი მეგობრები?

— ისინიც საზღვაო საქმეს სწავლობენ, ერთი სევასტოპოლშია, ორი კიდევ — ლენინგრადში.

— მაშინვე შეგატყვეთ, მეზღვაურებად რომ იყავით დაბადებულები... — მერე თვალი მერხებზე მჯდარ ბიჭებს მოავლო და დასძინა: — ყმაწვილებო, მე თქვენ გასწავლით ზღვის ენას. თქვენ კარგად უნდა დაეუფლოთ ამ ენას. აბა, ყური დამიგდეთ, შევუდგეთ ზღვის ანბანის შესწავლას!



✱ ესენი ნორჩი ტექნიკოსები თ. ნადირაძე, ა. განძელაძე, ვ. კონსანტოვი, თ. კლარჯეიშვილი და მ. თუთაძე არიან.

# აქ მოისწრაფვიან ნორჩის სახლია

მტრედებივით ესეოდნენ ციცქნა ოთახებს, ხატავდნენ, ძერწავდნენ, სწავლობდნენ მშობლიური რაიონის ისტორიას, ეცნობოდნენ რევოლუციის, შრომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანების ცხოვრება-მოღვაწეობას...

მუშაობას ახალი გაქანება და მასშტაბი მიეცა მას შემდეგ, რაც მათ თავიანთ განკარგულებაში გადაეცათ ვ. სტურუას სახელობის საზაფხულო პარკის ეზოში მდგარი ლამაზი ორსართულიანი შენობა, რომლის პირველ სართულზე სამხატვრო სკოლამ და საბავშვო ბიბლიოთეკამ დაიდეს ბინა, მეორე სართული კი მთლიანად დაეთმო პიონერთა სახლს.

სასახელოდ მუშაობს სამტრედიის პიონერთა სახლის (დირექტორი მ. ჩაჩუა) მთელი კოლექტივი, რომლის ყოველი წევრი დღენიადაგ ზრუნავს ნორჩებზე, ცდილობს ყველა პირობა შეუქმნას მათ სწავლისათვის, ცოდნის გამდიდრება-გაღრმავებისთვის, შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისათვის.

საინტერესო და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პიონერთა სახლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი „მშვიდობა“, რომელიც ჩეხი ანტიფაშისტის იულიუს ფუჩიკის სახელს ატარებს.

სსრკ 60 წლისთავისთვის კლუბის წევრებმა შეისწავლეს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის ისტორია, მიმოწერა გამართეს მოკავშირე რესპუბლიკების თანატოლებთან. კლუბის წევრები მეგობრობენ აზერბაიჯანის სსრ ქ. კიროვაბადის პიონერთა სასახლის, უკრაინის სსრ პოლტავის ოლქის ქ. ლუბნისა და ყაზახეთის სსრ ქ. ეკიბასტუზის პიონერთა სახლებთან, ლატვიის სსრ დაუგავპილსის რაიონის სილენეს 8-წლიანი სკოლის, მოლდავეთის სსრ კომრატის რაიონის სოფელ კონგაზის № 3 საშუალო სკოლის ინტერკლუბების წევრებთან. მეგობრობა ჯერ ბარათებით დაიწყო. პიონერები უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებას, სწერდნენ თავიანთი რესპუბლიკების ცხოვრების შესახებ. საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 60 წლისთავთან დაკავშირებით ქ. კიროვაბადის პიონერთა სასახლემ სამტრედიელი პიონერები მეგობრობის ფესტივალზე მიიწვია. დიდხანს ემახსოვრებათ მეგობრებს ძმური სიყვარულით გამთბარი ის მაისის დღეები.

მასპინძლებმა სამტრედიელ პიონერებს დაათვალიერებინეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, აჩვენეს ნიზამი განჯელის მავზოლეუმი, ულამაზესი ტბები გეი-გელი და მარალ-გელი. შემდეგ მრგვალ მაგიდასთან გაიმართა საუბარი. მეგობრებმა ერთმანეთს გაუზიარეს პიონერული მუშაობის გამოცდილება, საღამოს კი ერთად დაანთეს პიონერული კოცონი. ფესტივალის საზეიმო დახურვაზე გაიმართა კონცერტი ქართველი და აზერბაიჯანელი პიონერების მონაწილეობით.

სამტრედიელ პიონერებს დიდი მეგობრობა აკავშირებთ წითელი არმიის მებრძოლებთან. მეგობრები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს. ნორჩები ჯარისკაცებისათვის ატარებენ კონცერტებს, იწვევენ მათ პიონერთა სახლის საინტერესო ღონისძიებებზე. თემატური საღამო „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“, მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 60 და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. ჩატარდა აგრეთვე პოეზიის საღამო.

აღსანიშნავია პიონერთა სახლის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „იმედის“ (ხელმძღვანელი თ. დუნდუა) მუშაობა. ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში უჩვენეს იმედელებმა თავიანთი ხელოვნება და ყველგან მოწონება დაიმსახურეს. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიწვევით ანსამბლმა საშეფო კონცერტები ჩაატარა მოსკოვის მშრომელთა და მოსკოვის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრების წინაშე, რისთვისაც იგი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელით დაჯილდოვდა.

საბჭოთა კავშირის შექმნის 60

ეროვნული ბიბლიოთეკა

17463

წლისთავთან და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით „იმედმა" საშეფო კონცერტები გამართა კრასნოიარსკის მხარის დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებზე. ანსამბლის გასტროლები ფირზე აღბეჭდეს პიონერთა სახლის ფოტო-კინომოყვარულთა წრის წევრებმა, რომლებსაც კიდევ ბევრი საინტერესო ნამუშევრები აქვთ შექმნილი.

ბევრ საინტერესო ღონისძიებას ატარებს ნორჩ მხარეთმცოდნეთა და ეთნოგრაფთა წრე. საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი პიონერული კვირეულის ერთ-ერთი დღე ამ წრეს დაეთმო. გაიმართა ნორჩ მხარეთმცოდნეთა პირველი რაიონული შეკრება. ამ დღეს ჩაეყარა საფუძველი ეთნოგრაფიულ მუზეუმს. რაიონის თითქმის ყველა სოფელში შექმნილია პიონერული საგუშაგოები. პიონერებმა შეისწავლეს ვაზისუბნის, მტერჩვეულის, ტოლების, კულაშის, გომნატეხების, ნოღისა და გამოჩინებულის ციხესიმაგრეთა ნანგრევები. შეაგროვეს მასალები სხვადასხვა სოფლების ისტორიაზე, აქაურ ვეტერანებზე. წრისა და საგუშაგოების წევრები ხშირად იკრიბებიან ისტორიულ ძეგლებთან და ისმენენ სოფლის უხუცესთა საუბრებს. ასეთი შეკრებები ჩატარდა ჭაგანში, ღანირში, ტოლებში.

სანიმუშოდ მუშაობს პიონერთა სახლის მეშაშეთა წრე (ხელმძღვანელი ა. გრიგოლია). ამ წრეში აღიზარდა საქართველოს ჩემპიონი შაშში შორენა ბოლქვაძე. კარგი მონაცემები აქვთ წრის წევრებს: თ. გრიგოლიას, ი. და დ. შანიძეებს, თ. ჩაჩუას. გასული წლის მარტში წრის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საზოგადოება „კოლმეურნის" რესპუბლიკურ პირველობაში რუსულ და საერთაშორისო შაშში და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. ასევე წარმატებას მიაღწიეს მოლდავეთის სსრ ქ. ბენდერში გასულ წელს გამართულ მოსწავლეთა საკავშირო ფესტივალზე, სადაც 28 კოლექტივს შორის მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

ახალ საბუდარში საქმიანად ფუსფუსებენ ოქტომბრელებიც. ოქტომბრელთა მეგობრობის საბჭომ (თავმჯდომარე მ. მიქაძე) შეხვედრა მოუწყო ნორჩ მოჭადრაკეს ს. ტერელაძეს და საქართველოს ჩემპიონს შაშში შ. ბოლქვაძეს. ოქტომბრელთა მონაწილეობით ნაჩვენები იქნა სპექტაკლი რ. ინანიშვილის „ბიჩობიჭის" მიხედვით.

სისხლსავსე, საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს სამტრედიის პიონერთა სახლი. ამიტომ მოუხარიათ აქეთ ალისფერყელსახვევიან გოგო-ბიჭებს, ამიტომ არ იციან მოწყენა პიონერთა სახლის აღსაზრდელებმა.

**ზოია ვაშაკიძე**

ფოტო თ. ცაგარელისა



ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „იმედი" მორიგ რეპეტიციაზე.




ინტერნაციონალური მეგობრობის კაბინეტის წევრები ნ. შენგელია, ი. აბზიანიძე, თ. კალანდაძე და ლ. ფანცულაია.



კ. მარქსის სახ. სს. სსრ
სახელმწიფო საჯარ.
ბიბლიოთეკა

# განვლილი ზაფხული

ალექსანდრე
ლორია

მხატვარი
ზაურ დეისაძე

მოთხრობა

დიბო უხმოდ ზის თავის ჩემოდანზე. ელოდება როდის მობრუნდება სადგურიდან მათი ბანაკის ძველი, მორყეული ავტობუსი, რომელსაც დილიდან რიგ-რიგობით გადაჰყავს უკანასკნელი პატარა მგზავრები.

ბანაკი დაიხურა.

რა სწრაფად გაირბინა არდადეგების დაუდგრომელმა, ხალისიანმა დრომ!

ნაღვლიანად იგონებს დიბო ბანაკში გატარებულ დღეებს, ამხანაგებს, მეგობრებს. ზოგი ადრევე წაიყვანა მშობელმა, ზოგიც ამ დილით გაემგზავრა. საღამოსათვის თითქმის სულ დაიცალა იქაურობა. რამდენიმე ბიჭილა ზის ბანაკის ჭიშკართან. დიასახლისი — დეიდა ლილი და მკაცრი მნე — დიდულვაშა გაიოზი საქმიანად ფუსფუსებენ — თეთრეულს ჰკრავენ ბოხჩებად, ფარდებს ხსნიან ფანჯრებიდან, ლეიბებს ერთიმეორეზე აწყობენ. მხრებში მოხრილი მოხუცი ყარაული, გულმოდგინედ ათვალიერებს ოთახებს და ყველა კარს ბეჯითად კეტავს. დირექტორი და პიონერხელმძღვანელი სადგურში გაჰყვნენ ბავშვებს. გარდა ერთი მასწავლებელი ქალისა, უფროსთაგანი სხვა აღარავინ ჩანს.

ბიჭები მდუმარედ სხედან. მეგობრებთან განშორების, ბედნიერ დღეებთან გამოთხოვების სევდას შეუპყრია ყველა.

დიბო განცალკევებით მოკალათებულა, მკლავებით მუხლებს დაყრდნობია, ვერ ისვენებს, რაღაც აწუხებს, ხშირად გასწორდება წელში და ღრმად ჩაისუნთქავს ჰაერს. აფორიაქებული ჩანს. დროდადრო ბანაკის მარცხენა ფლიგელისაკენ გააპარებს თვალს, სადაც მავთულბადის ღობის იქით სამი მისი თანატოლი ბიჭი უხმოდ დგას. ერთიმეორეზე აჩორჩლილ მერჩებს ამოფარებიან, ცდილობენ შეუმჩნეველი დარჩნენ. მათ არც არავინ აქცევს ყურადღებას, მხოლოდ დიბოს მზერას არ გამოპარვია ისინი. იცის, ვიდრე ის აქ არის, ვიდრე მატარებელში არ ჩაჯდება და ქალაქისაკენ გასწევს, ეს ბიჭები არ მოეშვებიან.

მაგრამ რა უნდათ?

„შურისძიების სურვილი არ ასვენებთ“, — გაიფიქრა დიბომ და კვლავ შეფარვით გააპარა თვალი სამეულისაკენ. მხარდამხარ დგანან თეთრი ბინტით მარჯვენა მაჯაგადახვეული პეტა და იმისი განუყრელი მეგობრები, დათო და სალო, რომლის ნამდვილი სახელი ახლაც კი არ იცის დიბომ. ხანდახან რაღაცას გადაულაპარაკებენ ერთმანეთს და მალულად ადევნებენ თვალს ჭიშკართან თავმოყრილ ბავშვებს.

„ნეტა რა უდევთ გულში?“ — გაიფიქრა დიბომ და სადგურისაკენ მიმავალ გზას გახედა. — „ჩქარა მაინც მოვიდოდეს ის დანჯღრეული ავტობუსი, წაგვიყვანდეს, რომ კიდევ არ მოხდეს რამე იმდღევანდელივით...“

დიბოს უსიამოდ გაახსენდა ის ავბედითი დღე, ამ სოფლის ბიჭები მტრად რომ გადაიკიდა.

ბანაკელისათვის ასეთი რამ ყოველთვის სავალალოდ მთავრდებოდა. მაშ როგორ? ვის აპატიებენ სოფლის ბიჭები წყენინებას? გაგონილა, ვიღაც ჩამოვიდეს შენს სოფელში, ისიც ბანაკელი კოკობზიკა, და რამე გაკადროს?... თანაც ვის?... პირველ ბიჭს, რომელსაც სოფლის თანატოლებიც კი ვერაფერს უბედავენ!

„კი, მაგრამ... ყოველივე იმის შემდეგ, რაც იყო, რაღას აპირებენ კიდევ?...“ — გაიფიქრა დიბომ და წამოდგა, მეგობრებთან უფრო ახლოს მიაცურა ჩემოდანი და ისევ ჩამოჯდა. — „მთელი კვირაა, ასე მიტრიალებენ და გაბედვით კი ვერაფერს ბედავენ. რამდენჯერ შევძლოთ, სადმე მოფარებულ კუთხეში გავეწვიე, მაგრამ... ალბათ იფიქრეს, არ გამოგვყვებაო... ისე კი, მარტოდ ვერსად ჩამიგდეს ხელში“.

დიბოც გულმოდგინედ ეკრძალებოდა მათ. ბანაკს არ გასცილებია, მარტო არ დარჩენილა. კაცმა რომ თქვას, სათითაოდ არც ერთს არ შეუშინდებოდა, მაგრამ სამნი რომ არიან?...

კვლავ დაუტრიალდა თვალწინ განვლილი დღეების სურათები.

არა, რა მისი ბრალი იყო, თორემ კი...

ფიზკულტურის მასწავლებელმა ერთხელ, როგორც იქნა, ბანაკის უფროსჯგუფელი ბიჭები საბანაოდ წაიყვანა სოფლის ბოლოს, სადაც მდინარე, მკვეთრ მოსახვევში მორევად შეგუბებული, უცებ თხელ ფონად იშლება და ნაპირთან საკმაოდ ღრმა ადგილებს ტოვებს საბანაოდ.

საჭყუმპალაოს მეტი რა არის, მაგრამ აქაურებს მაინცდამაინც ერთი სიპი აქვთ ამოჩემებული და ყველა იქ ბანაობს. ბანაკელები რომ მოვიდნენ, სოფლის ბიჭები უკვე მდინარეში დახვდნენ. დიბომ თავის ამხანაგებთან ერთად იქვე ახლოს გაიხადა ტანთ და ყველანი ჟივილხივილით სოფლის ბიჭებს შეერივნენ. ატყდა წყლის ჩქაფუნი და მხიარული შეძახილები.

თავდაპირველად დამხვდურნი მეგობრულად შეეგებნენ მათ. ბიჭები უკვე იცნობდნენ ერთმანეთს. აქაურები ხშირად დადიოდნენ ბანაკში, ღონისძიებებს ესწრებოდნენ, ზოგჯერ თავადაც ღებულობდნენ მონაწილეობას. განსაკუთრებით სპორტულ შეჯიბრებებში... მშვენივრად უგებდნენ ერთმანეთს. იმ დღეს კი რაღაც ბუზანკალი შეუჯდათ.

როგორღაც აიმრიზნენ, გაკადნიერდნენ, განცალკევდნენ, ქედმაღლურად და დაცინვით დაუწყეს ცქერა მოსულებს. ყველაფერი იმ გრძელი პეტას ბრალია.

ჯერ იყო და, დიბომ რომ სიღრმეში შეცურა, შეჰყვა და დაუთქმელად გამოეჯიბრა სისწრაფეში. რომ ვერ აჯობა, გულაღმა გადაწვა და, ვითომც სხვათაშორისად, დიბოს სახესთან აუქაფა ფეხებით წყალი. მერე, ნაპირთან რომ გამოვიდნენ, გამომწვევად ორთავე ხელით შეასხურა პირისახეში შხეფები.

დიბო შედგა, ფრუტუნით ჩამოიწმინდა სახე, მოჭუტა თვალები, თვითონაც დატრიალდა და მიასხა და მიასხა პეტას წყალი. ატყდა ერთი ყიჟინა და ჩქაფაჩქუფი.

პეტას პირველს შეეკრა სული, წყალს მისცა თავი, სიღრმეში შეცურდა და მოწინააღმდეგეს გაერიდა. ბანაკელებმა ყიჟინა დასცეს, დიბოს გამარჯვება იზეიმეს. ეს იყო და ეს. კაცმა რომ თქვას, რაა აქ გასაჯავრებელი? მაგრამ პეტა სირცხვილისაგან აენთო, დაიძაბა, აიმრიზა. ამქარმაც იგრძნო ეს, თითქოს ყველას გადაედო მისი განწყობილება — ბღვერით დაიწყეს ყურება, არ მოეწონათ მეგობრის მარცხი და... აქედან დაიწყო ყველაფერი.

ფიზკულტურის მასწავლებელმა თითქმის ძალისძალად რომ გამოლალა მდინარიდან ბიჭები და თავად შეცურდა წყალში, პეტა და მისი ამხანაგები უკვე ნაპირზე იყვნენ. როცა ბანაკელები მათთან მივიდნენ, ისინი, ქვიშაზე წამოკოტრიალებულნი, ეშმაკურად ხითხითებდნენ.

დიბომ მაშინვე შენიშნა, რომ მისი ტანსაცმელი ადგილზე არ იყო.

— სად არის ჩემი ტანსაცმელი? — თავისიანებს მიუბრუნდა, მაგრამ ისე, რომ სოფლელებსაც გაეგონათ მისი ნათქვამი.

მეგობრები უხერხულად დუმდნენ, თითქოს ვერ ბედავენო სიმართლის თქმას.

— სად არის-მეთქი? — დიბო ახლა სოფლელ ბიჭებს მიუბრუნდა. ისინი კი დამცინავი ღიმილით არიდებდნენ თვალს, ვითომ მათ არ ეხებოდა შეკითხვა. დიბომ პეტას განუყრელ მეგობარს, დათოს დაადგა თვალი. — სად არის, შენ გეკითხები!

სილაში ამოგანგლულმა დათომ სველი, გაბურძგნილი თავი გადახარა და მუქარანარევი ირონიით ამოხედა ქვევიდან თავზე წამომდგარ დიბოს.

— რას დამჩერებიხარ? მე რა ვიცი შენი ტანსაცმელი?..

დიბომ სხვებსაც შეავლო თვალი. პეტამ დამცინავი ღიმილით თავი მდინარისაკენ გაიქნია:

— იქ მოძებნე.

დიბომ ზემოდან გადმოხედა მდინარეს. წინ პატარა შენაგუბი იყო დარჩენილი, რომელიც უკვე ჭანჭყობად ქცეულიყო. იქ ჩაელბოთ მისი ტანსაცმელი. ბრაზმორეულმა მზერა პეტაზე გადაიტანა. ის კი, ვითომც აქ არაფერიაო, ზურგზე გადაწვა და თვალებზე ვიღაცის ტილოს თეთრი კეპი ჩამოიფხატა. დიბო ზედ წაადგა.

— ადე, გამოიტანე! — ფეხი გაჰკრა ფეხზე და მრისხანედ დააჩერდა მიწაზე გაშოტილ ბიჭს.

პეტა დინჯად წამოჯდა, ქუდი გაისწორა. სახეზე აღარ ედო ძველებური დამცინავი იერი. წარბებშ შეკვროდა. ავისმომასწავებელი თვალით ამოხედა ქემოდან დიბოს და დაუფარავი მუქარით შემოუტია.

— გადი, გამეცალე აქედან!.. ვინც დაგიშინებია, ის დააშინე!

დიბო წამით შეყოყმანდა, მაგრამ არ შედრკა. თითქოს თავზე დაცემას უპირებს მოწინააღმდეგესო, კიდევ გადადგა წინ ნაბიჯი.

— ამოიტანე-მეთქი!... გესმის?... — ქშენას ამოატანა. — გაწურე და გაფინე ქვიშაზე.

— ოჰ, კიდევ რა გინდა? — ჩაიქირქილა სალომ. — ხომ არ გაგიუთაოს?

სოფლელმა ბიჭებმა გადაიხარხარეს.

დიბომ სალოს შეუბღვირა.

— გამიუთავებს კიდეც, თუ საჭირო იქნება... არა და... — აღარ დაასრულა, მაგრამ მისი შეკრული მუშტები ისედაც ნათელს ხდიდნენ სათქმელს.

სრული სიჩუმე ჩამოვარდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

წამიც და, პეტა ავაზასავით წამოიჭრა ფეხზე:

— თორემ რა?... ჰო, დაამთავრე! — ანთებული თვალებით დაუდგა წინ მოწინააღმდეგეს.

— რა და, იმ ჭონჭყოში ჩაგტენი იმ ტანსაცმელთან ერთად!..

თითქოს გრიგალმა დაუბერაო უეცრად. ამას აღარავინ მოელოდა, ეს უკვე ნამდვილი გამოწვევა იყო.

პეტას შეურაცხყოფა მიაყენეს! პეტას, სოფლის პირველ ფალავანს თავის ტოლ ბიჭებში!... პეტას, რომლის უფროსი ძმა — ტრაქტორისტი გულო ყველაზე ღონიერი კაცია მთელ რაიონში, ბადალი არა ჰყავს ჭიდაობაში და მისი გამლახავი ჯერ კაცი არ გამოჩენილა. ქალაქშიც კი უნდოდათ მისი გადაყვანა, ოსტატიც გახდებოდა და მეტ სახელსაც მოიხვეჭდა, მაგრამ ადრე დაოჯახდა და საშინაო საქმეებმა გადაიყოლეს... ჰოდა, ასეთი ძმის პატრონს, თვადაც პირველ ბიჭს ტოლებში, დიდი თუ პატარა ანგარიშს რომ უწევს, ვიღაც კოკობზიკა ბანაკელი, ხედავთ, რას უბედავს?!.. მოსათმენია ახლა ეს?!

პეტამ არ მოითმინა, აფეთქდა, ყბაში ჩაავლო მარცხენა ხელი დიბოს, მარჯვენა კი გულზე ჰკრა და იქეთ მიაგდო.

ატყდა ჩოჩქოლი და აურზაური.

ფიზკულტურის მასწავლებელმა წყლიდან ამოხედა ბიჭებს. ჯერ ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა, მაგრამ იგრძნო, კარგი ამბავი არ უნდა ყოფილიყო და იქიდანვე დაუწყო ძახილი. მაგრამ ბიჭებს აღარაფერი ესმოდათ. პეტამ რომ დაინახა, დიბო წაფორთხილდა და ოდნავ შეფერხდაო, გულდაგულ მიეტანა და ის იყო სახეში უნდა დაეკრა მარჯვენა, რომ მოწინააღმდეგემ არ დააცალა, ორთავე ხელით დაუჭირა მკლავი, ელვის სისწრაფით მოზიდა თავისკენ, ზურგი მიუშვირა და თავუკუღმა გადმოიღო.

პეტა გულაღმა დაასკდა ქვიშას. წამით სუნთქვა შეეკრა, გვერდებში ჩხვლეტა იგრძნო, მაგრამ ნირი არ გაიტეხა. აბა, ტკივილს შეეპუებოდა სირცხვილნაჭამი ფალავანი?! ძალა მოიკრიბა, თავს ძალა დაატანა და მარდად წამოხტა, ვითომც ეგ არაფერი, შემთხვევითი მარცხიაო, და დიბოსაკენ გაქანდა, მაგრამ იმდენად უანგარიშოდ, რომ წელით ჩაუვარდა ხელში შემოტევისათვის გამზადებულ მოწინააღმდეგეს. დიბო წამში ისევ ბეჭებზე დასცემდა პეტას, მაგრამ უცებ იგრძნო, რომ ვიღაც სხვა წამოეპოტინა უკნიდან. ცალი ხელი მის მოსაგერიებლად რომ გაითავისუფლა, პეტა დაუსხლტა... დიბო ორის პირისპირ აღმოჩნდა. ერთი მხრივ პეტა უტევდა, მეორე მხრივ — დათო. ორთავენი ცდილობდნენ გაექაჩათ თავს გასული მოჩხუბარი, მაგრამ ვერ ახერხებდნენ.

ამასობაში სხვა ბიჭებიც აირივნენ. ბანაკელები გასაშველებლად დაიძრნენ, სოფლელები კი გადაეღობნენ, აცალეთ, იქიდაონო.

— ყოჩაღ, რა!.. ორი ერთზე მაგარი ხართ!

— თქვენ შეეშვით!

— შეაჩერეთ!..

— სირცხვილია!..

— აცალეთ, იყოს ორი ერთზე!.. ნახავთ, მაინც მოიგებს...

— ადროვეთ, თავად მორიგდებიან!..

ბიჭები ერთმანეთში აიზილნენ. ზოგი ვის ეპოტინებოდა და ზოგი — ვის, ცდილობდნენ გაეშველებინათ მოჩხუბრები, მაგრამ ვერ იქნა და ვერა, დიბოს ვერ ჩამოაშორეს პეტა და დათო.

უცებ დათო ქვაზე წატორტმანდა და წამით შეუშვა ხელი დიბოს. ამანაც დრო იხელთა, მოიშორა პეტა, უკნიდან მიუხტა წელში დათოს და ვიდრე პეტა რამეს მოიაზრებდა, დათო უკვე ქვიშაზე იყო გაშხლართული. პეტას რომ მიუბრუნდა, სალო გადაუდგა წინ, მაგრამ ის ადვილად მოიშორა მკერდში ხელის კვრით და მთელი ძალით ახლა პეტას დაეძგერა. გაალმასებული სწვდა უკვე დაქანცულსა და აქლოშინებულ პეტას, ხელი გადაუწია, მოგვერდით გადმოიღო და ამსიგრძე ბიჭს ფეხები მაღლა ააპლაკინა. ძირს რომ დასცა, უნდოდა ფანდით ზურგზე გადაებრუნებინა, მაგრამ პეტა უცებ აყვირდა:

— ვაი, ვაიმე!.. ხელი!... ხელი მომტყდა!..

ყველა შეკრთა. შედგნენ მოჩხუბრებიცა და გამშველებლებიც. ეს უკვე სახუმარო საქმე აღარ იყო. ე-ჰე!.. ხელის მოტეხისათვის, ჩემო კარგო, თავზე არავინ გადაგისვამს ხელს... აქ უკვე სხვაგვარი პასუხისმგებლობა იჩენს თავს!.. რას ეტყვი უფროსებს, ვთამაშობდითო?.. რას იტყვიან მშობლები? ამ საქმეში შეიძლება მილიციაც ჩაერიოს.

ბიჭები გაოგნებული შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

ახლაღა შენიშნეს ფიზკულტურის მასწავლებელი. არავის ახსოვს, როდის ამოვიდა წყლიდან, როდის ჩაერია საქმეში.

— გადაირიეთ თუ რა მოგივიდათ!.. — ხმა გაიმკაცრა. — რამ გაგაგიჟათ? რა ვერ გაიყავით?.. აბა, დაიშალენით ახლავე!

ბავშვები მიმოიფანტნენ, იქაურობას კი გაეცალნენ, მაგრამ შორიახლო შეჩერდნენ და ისე იცქირებოდნენ მიწაზე ჩაკუნტული პეტასაკენ, რომელიც სიმწრით იღრიჯებოდა და კვნესოდა.

მასწავლებელი, უპირველეს ყოვლისა, მას მიუბრუნდა. ახლოს მიუჯდა და მაჯა მოუსინჯა. პეტა შეხტა და მთელი ხმით აღრიალდა:

—ვაი, ვაი, მოვკვდი!.. — თვალები გადაატრიალა და გული წაუვიდა.

რამდენიმე ბიჭი სოფლისაკენ გაქანდა ექიმის მოსაყვანად.

გულშეღონებული პეტა ექიმის მოსვლამდე მოასულიერეს, მაგრამ საბოლოოდ გაირკვა, რომ სერიოზული არაფერი დამართნია, ხელი ჰქონდა ნაღრძობი მხოლოდ. მაგრამ იმ დღეს უსიამოვნებას ვერავინ გადაურჩა. ბანაკელები სასტიკად დაისაჯნენ საღამოს ხაზზე. ყველას საყვედური გამოუცხადეს და მომავალ ღონისძიებებში მონაწილეობა აუკრძალეს. არც სოფლელი ბიჭები გამოსულან იოლად. პეტა ხომ თავისთავად დასჯი-

ლი იყო, მაგრამ დათო რომ კოჭლობით მივიდა სახლში, მიუხვდნენ, რაღაც იეშმაკაო და მაგრად შეახურეს. სალოს ამ აურზაურში სადღაც ცალი ფეხსაცმელი დაჰკარგოდა, შემთხვევით წყალში თუ ჩაუვარდა და მდინარემ წაიღო. აბა იმას მოხვდა, თუ მოხვდა! სხვებსაც არ დაადგათ კარგი დღე, როცა გაიგეს, ბანაკელ ბიჭებთან ჩხუბი მოსვლიათო.

მშობლები, თითქოს შეთქმულანო, ყველაფერს სოფლელებს აბრალებდნენ. როგორ არა გრცხვენიათ, ბავშვები ჩვენს სოფელში ჩამოსულან დასასვენებლად, ჩვენი სტუმრები არიან და იმის ნაცვლად, დაუმეგობრდეთ, ხელი შეუწყოთ, აქაურობა შეაყვაროთ, თქვენ ეჩხუბებით და ტანსაცმელს წყალში უყრითო.

გულო ტრაქტორისტიც ამ აზრისა იყო, მაგრამ იმას ვერ შერიგებოდა, ვიღაც ბიჭმა ძმა ასე მწარედ როგორ გამილახა და მისი საუკეთესო მეგობრებიც ზედ მიაყოლაო.

მე ვაჩვენებ იმას სეირს, ერთი მანახეთ, ვინ არისო, და მთელი სოფლის ბიჭები ცნობისმოყვარეობით აანთო.

— აი, ახლა ნახავს, ის დიბოა თუ ბიბო, რა სეირს დააყრის გულო ტრაქტორისტი... ნაბადივით გააბრტყელებს... — ჩურჩულებდნენ ბიჭები და მოშორებით მისდევდნენ შუკაში დიდ-დიდი ნაბიჯებით მიმავალ გულოს, რომელსაც წინ გაეგდო მაჯაგადახვეული პეტა თავისი განუყრელი დათოთი და სალოთი და გეზი ბანაკისაკენ აეღო.

ბანაკში სამხარი მოეთავებინათ. უფროსჯგუფელი ბიჭები ცალკე გაკრეფილიყვნენ ეზოს ბოლოს, სპორტული მოედნის გადაღმა, სადაც მოზრდილი კორომი იწყებოდა, უხალისოდ ისხდნენ მავთულბადის ღობესთან ბალახზე და მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს.

სწორედ ამ დროს მოადგნენ ღობეს გულო და სოფლელი ბიჭები. ბანაკელები თავდაპირველად ვერ მიხვდნენ, რაში იყო საქმე, მაგრამ გულოს გვერდით ამაყად გაბიჯგული, მაჯაშეხვეული პეტა, დათო და სალო რომ დაინახეს, ყველაფერი ნათელი გახდა.

გულომ თვალი მიმოავლო ეზოს, იქაურობა დაზვერა, ვინმე ხომ არ გვიცქერისო, და მერე ეზოში თავმოყრილ ბიჭებზე გადაიტანა მზერა. ისინი მოულოდნელობისა და შიშისაგან გაფითრებულიყვნენ.

გულომ ღობე მოსინჯა, გასაძრომი იპოვა, ბადე წამოსწია და მარდად გაძვრა. ნაწილი მას მიჰყვა, ნაწილიც გარეთ დარჩა სეირის საყურებლად.

— აბა, მაჩვენეთ ერთი, რომელია ის თავზეხელაღებული მოჩხუბარი!... — თვალი შეავლო ბანაკელებს და მერე კითხვის ნიშნად პეტას მიაჩერდა. პეტამ უხმოდ მიუშვირა ხელი იქვე მდგომ დიბოზე.

დიბოს გააცია. ყელი გაუხურდა, სიწითლე წამოაწვა ლოყებზე, გული აუფართხალდა. ხუმრობაა?.. მის წინ კამეჩისოდენა ტრაქტორისტი გულო დგას, მთელ სოფელში განთქმული გოლიათი, ფალავნებში უპირველესი. დაუმკლავებია უსაყელო ხამი შალის სვიტრის სახელოები, წელზე შემოუწყვია ლავაშისოდენა ხელის მტევნები, შეუკრავს კუპრივით შავი გაბანჯგვლული წარბები და ისეთი თვალით იცქირება, გეგონება, ერთი ხელის მოსმით გადაყლაპვას უპირებს საქციელწამხდარ დიბოსო.

დიბოს შიში უნებლიეთ სხვებსაც გადაედო. ენაჩავარდნილები შეჰყურებდნენ ერთმანეთის პირისპირ მდგარ გოლიათსა და ბანაკელ ფალავანს.

დიბო გაშეშებული იდგა.

გულო ტრაქტორისტმა ერთი კი აზომ-ჩაზომა იგი მუშტრის თვალით და ნელი ნაბიჯით წავიდა მისკენ. გოგრისოდენა მჯიღები შეკრა და უცებ გაშალა ნერვულად, ხელები წინ გაიშვირა ოდნავ მოხრილად და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს დიბოსთან საჭიდაოდ გამზადებულიყოს.

დიბო უცებ შეირხა, თითქოს გონს მოვიდაო. მოულოდნელად ნაცნობ გარემოში იგრძნო თავი. გონება სწრაფად ამუშავდა, თვალები აუელვარდა, ხელები ნაცად მოჭიდავესავით შეამზადა, ოდნავ მოიხარა და გაფაციცებითააყოლა თვალი მოწინააღმდეგის მოძრაობას. თითქოს ყურში ჩაესმა მწვრთნელის ჩურჩული, რომელიც არაერთხელ სმენია შეჯიბრებების დროს:



„მიდი, დიბო, თამამად მიდი!... მთავარია, არ შედრკე!.. მოწინააღმდეგემ არ შეგაშინოს!.. შეშინებული მოჭიდავე დასაწყისშივე დამარცხებულია!“

და დიბო შექანდა, თითქოს მხრები შეიბერტყა, შეიმართა, მოემზადა, ვითომც მართლაც ასპარეზზე მდგარიყოს, საჭიდაო ხალიჩაზე, ირგვლივ კი ხალხია, გულშემატკივრები, მსაჯები, სეკუნდანტები, ექიმები... და უჩვეულო სიმშვიდე იგრძნო... გახალისდა კიდეც... მოხდეს, რაც მოსახდენიაო, და გოლიათის შესახვედრად მოემზადა!

გულო ტრაქტორისტი მოულოდნელობისაგან უცებ შედგა, თითქოს დაიბნა კიდეც. „ვერ უყურებ ამას, რა გული ჰქონიაო, — გაიფიქრა. — ერთი ვნახოთ, რას აპირებს ეს ბარტყიო“, — გულში ჩაილაპარაკა და უცებ ისიც აენთო, როგორც ნამდვილი ფალავანი ნამდვილ ასპარეზზე. მოსხლეტით წახტა წინ და დიბოს ორივე ხელით წაეპოტინა. მოასწრო, მარცხენათი დაითრია მისი მარჯვენა, მაგრამ ბიჭმა მძლავრი დაქნევით გაითავისუფლა იგი და გვერდზე გახტა. გულო იქეთ მიჰყვა. ცდილობდა თავს დასხმოდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ ის მარდად შველოდა თავს, ხან იქეთ გახტებოდა, ხან აქეთ და შებოჭვის საშუალებას არ აძლევდა, ოსტატურად იშორებდა თავიდან გოლიათის ტორებს.

პირველი შეტევითვე რომ ვერ იგდო ბიჭი ხელთ, გულო გაცეცხლდა, სიბრაზით დაკვესა მისმა თვალებმა, მუქარითაც დასჭყივლა ერთი და ელვის სისწრაფით ეცა მოწინააღმდეგეს.

დიბომ გაიბრძოლა, უნდოდა როგორმე ხელები გაეთავისუფლებინა, მაგრამ ვერ მოახერხა, ძალა არ ეყო. მთელი ტანით შეინჯღრა, მაგრამ ამაოდ.

გოლიათმა მთლად გათანგა იგი, მაღლა აიტაცა, ცოტა ხნით ასე გააჩერა, მერე მოსხლეტით დაუშვა, მკერდზე მძლავრად მიიჭდო და თავისი დიდრონი, მხურვალე ტუჩებით ერთი მაგრად ჩაკოცნა ვაჟკაცურად. მერე ნელა დასვა, ერთი ნაბიჯი უკან გადადგა და ისევ შეათვალიერა.

ყველამ შვებით ამოისუნთქა.

— ყოჩაღ!.. — თვალებანთებული შეჰყურებდა გოლიათი მის წინ მდგომ დაბნეულსა და სახეალეწილ ბიჭს. — ყოჩაღ!.. ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილხარ! ეგრე უნდა!

მერე ბიჭებს გადახედა. სიხარულის ნაპერწკლები კიაფობდა მათ თვალებში. მხოლოდ სამეული იდგა გაოგნებული და დარეტიანებული. გულო დაცინვით მიუბრუნდა მათ:

— ჰაი, თქვე თხუნელებო!... ერთმა ბიჭმა სამივენი გაგლახათ და კიდევ ხმას იღებთ! მე მეგონა, ვიღაც თქვენზე დიდმა დაგჩაგრათ-მეთქი, ეს კი თქვენი ტოლა არა ყოფილა?... რაღას ერჩით? თუ კარგი ბიჭები ხართ, თითო-თითოდ გადით და დაეჭიდეთ! აბა, თუ გერჩით გული ვისმე, გადით!

არავინ გასულა.

შუკაში გაბრუნებული სოფლის ბიჭები თავჩაღუნულები მიდიოდნენ სახლებისაკენ. მხოლოდ პეტას ბუზღუნი ისმოდა:

— რა ვქნა, რა ჩემი ბრალია?.. ეგ ფალავნების კლუბში დადის, თანრიგოსანია, სამი მასწავლებელი ასწავლის, ექვსი წელია ჭიდაობს... მე კიდევ რა? ჩემთვის არავინ მოიცლით, მასწავლოთ რამე...

კიდევ ბევრს იბუზღუნებდა, ძმას რომ არ შეეტია ერთი მაგრად:

— ჰა, გეყოს შენცა, ნუ გააბი!.. დაბოღმილხარ ინდაურივით... კაცმა მოგებაც უნდა იცოდე და წაგებაც.

პეტაც გაჩუმდა. ხმა აღარ ამოუღია. მაშინაც პირდამდუღრულივით დუმდა, როცა რამდენიმე დღის შემდეგ სოფელში გამართულ ჭიდაობაზე ბანაკელებმა თავიანთ ფალავნად დიბო წარადგინეს და იმანაც არ შეირცხვინა თავი. თავად აბა რას იზამდა ნატკენი ხელით, სხვებმა კი სცადეს ბანაკელის დაჯაბნა, მაგრამ ტყუილუბრალოდ. გულო ტრაქტორისტმა თვითონ გამოაცხადა დიბო გამარჯვებულად და სოფლის კომკავშირელების სახელით მოჭიქული სურა გადასცა სამახსოვროდ.

ახლაც ჩემოდანში უდევს ის სურა, მაგრამ რად გინდა? გულს არაფერი ახარებს. არ იქნა და არა, არ წაიშალა გონებიდან ის უსიამოვნება, თავს რომ გადახდა. პეტა და მისი ბიჭები მაინც იბღვირებიან, მაინც მტრულად უყურებენ მას და, ვინ იცის, ახლა რას უპირებენ.

დიბო ფიქრებიდან ძრავას გუგუნმა გამოიყვანა.

ავტობუსი მიტრიალ-მოტრიალდა და ბანაკის კარებთან გაჩერდა. ბიჭებმა მძღოლს კარის გაღებაც არ აცალეს, ისე მიცვივდნენ მანქანას.

დიბომ უკანასკნელად გაიხედა ერთიმეორეზე შე-

## უცხოური იუმორი

— პიესას ვამთავრებ, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოვკლა გმირი მეხუთე მოქმედების დასასრულს...

— ამაზე ადვილი რა არის, მასთან ერთად გადაიკითხე პირველი ოთხი მოქმედება!

•

დრამატურგმა მაყურებელთა დარბაზში შეიხედა, აღშფოთებული დირექტორის კაბინეტში შევარდა და უსაყვედურა:

— ბატონო დირექტორო, თქვენ ჩემს პიესას განგებ ყოველთვის იმ დროს დგამთ, როცა თეატრი ცარიელია.

•

„ოპტიკის“ მაღაზიაში მომხმარებელი შევიდა.

— გამარჯობათ, — მიესალმა მას გამყიდველი, — მინუს ცხრა სათვალე გნებავთ, არა?

— როგორ მიხვდით, რომ ახლომხედველი ვარ?

— უბრალოდ. კარის ნაცვლად ფანჯრიდან შემოხვედით.

გერმანულიდან თარგმნა შ. ამირანაშვილმა

ხორხლილი მერხებისაკენ, რომლებსაც წეღან თავს აფარებდნენ ბიჭები, მაგრამ იქ ვეღარავინ შენიშნა.

— ჰა, ჩქარა, რას აყოვნებ, ამოდი!... მატარებელი შენ კი არ დაგიცდის! — გაჯავრებით გამოსძახა მძღოლმა.

დიბო ავტობუსში შეხტა.

სადგურში იმ დროს მივიდნენ, საცაა, მატარებელიც რომ უნდა ჩამომდგარიყო. მხიარული ხმები უკანასკნელად ავსებდნენ ჩვეულებრივ ჩუმსა და წყნარ პატარა სადგურს.

დიბო, თითქოს არაფერი ესმისო, დგას მისთვის ჩემოდნით ხელში და მატარებლის ჩამოდგომას ელოდება. თვადაც არ იცის, რამ მოუწამლა გუნება? რას ტოვებს აქ? რა დარჩენია? რას მისტირის? რატომ ემძიმება ამ სოფლის დათმობა? შინ ბრუნდება, უხარია, მაგრამ ამ სიხარულს რატომ ჩრდილავს რაღაც უკმარობის გრძნობა?

როცა თვალს ავლებს განვლილ ზაფხულს, რომელიც ბანაკში გაატარა, ძალიან ბევრი რამ ახსენდება სასიხარულო, კეთილად მოსაგონარი, სასიამოვნო... მაგრამ ის.... ის შემთხვევა? მთელი ის ამბავი? იმ ბიჭების მომდურება და გადაკიდება?

გუნება უფუჭდება. მთელი ზაფხული დაკარგულად ეჩვენება. თურმე მართალია, რომ უთქვამთ, მთელ კასრ თაფლს აფუჭებსო ერთი კოვზი კუპრი.

ანგარიშმიუცემლად ავიდა ვაგონში.

ჩემოდანი მიაგდო და ფანჯარასთან მიდგა. უცებ გაიყინა. თვალებს არ უჯერებს. როგორ, ისევ ის სამეული?.. აი, ხესთან დამდგარან და ახლა სავსებით აშკარად მას შემოსცქერიან, მაგრამ ეს რაღაც სულ სხვაა... ეჩვენება დიბოს თუ მართალია, რომ სითბოთი ავსებიათ თვალები?

დიბომ უნებლიეთ გამოთხოვების ნიშნად ხელი დაუქნია მათ.

ისინი, თითქოს ამას ელოდნენო, უცებ გამოცოცხლდნენ, შეირხნენ... გადახედ-გადმოხედეს ერთმანეთს და დიბოსაკენ წამოვიდნენ. წინ პეტა მოდის, ცოტა უკან— დათო და სალო. პეტა ზედ მოადგა ვაგონს, ქვევიდან შემოსცქერის დიბოს.

— დიბო, ბოდიში, რა!... არ გამოგვივიდა კარგად... ავად არ ჩაიდო გულში!

დიბოს სიხარულის ელვამ გადაუარა სახეზე, თვალები აუწყლიანდა. ძლივს დასძრა ენა:

— არა უშავს, ბიჭებო! რა მოხდა მერე? მეც, ცოტა არ იყოს, ფხუკიანი ვარ და არ გაჯავრდეთ...

— რას ამბობ, კაცო? — გამოცოცხლდა დათო. — შენ რა შუაში ხარ? ბოდიში ჩვენგან გერგება.

პეტა უკვე ღიმილით შეჰყურებს დიბოს.

— აქამდეც გვინდოდა, მაგრამ...

— ეს ოხერი, ბოდიშის თქმა უფრო ძნელი არა ყოფილა, ვიდრე კაცის განაწყენება? — დაუმატა სალომ და ყველას გაეცინა. სიცილი რომ ჩაცხრა, პეტა გაუბედავად კვლავ დიბოს მიუბრუნდა:

— დიბო, ჩამოხვალ ისევ ჩვენთან?

— რა ვიცი, — ჩაფიქრდა დიბო. — გაისად უკვე აღარ ვიქნები ბანაკის ასაკისა.

— მერე რა უშავს! — გამოცოცხლდა პეტა. — ისე ჩამოდი, შე კაი კაცო! რა, ვერ გიმასპინძლებთ? სახლი არა გვაქვს თუ კარი? ხომ ხედავ, რა ტყე გვაქვს, რა ჰაერი, რა სანახაობები!—უცებ ენა მოიკვნიტა, მაგრამ დიბომ იხსნა ისევ:

— ჯერ თქვენ ჩამოდით! ბიჭებმა იციან ჩემი მისამართი. ზამთრის არდადეგებზე ჩამოდით! ყველაფერს დაგათვალიერებინებთ.

— ფალავნების კლუბსაც? — თვალები გაუბრწყინდა პეტას. — შენ მართლა იქ ვარჯიშობ?

— ჰო!

— კიდეც მაგიტომ... ასე ჭიდაობ!

— ჩამოდით, უეჭველად ჩამოდით!

მატარებელი ნელა დაიძრა, მერე კი ბაქანს რომ გაცდა, სიჩქარეს უმატა და გაქანდა.

**გიორგი მეგრეველი**

## მამის წერილები ჯარისკაცს

1

უპირველესი არის მამული
და დღეს ხომ დგახარ შენც მის დარაჯად,
რომ ყველა ნერგი, ხალხის დარგული,
ისევ ხალხისა იყოს მარადჟამს.
იცავ სამშობლოს,
მისი საზღვარი
შენმა ტოლებმა აქციეს სალ კლდედ.
მამაპაპური მხედრული ვალი
მხარზე ძვირფასი ტვირთივით გადევთ.
სამშობლოს ტრფობის იწვით ალმურით,
თქვენთვის მთავარი არის მამული.

2

„ვეფხისტყაოსანს“ ისწავლის ვინაც,
არ შეიძლება იყოს ლაჩარი,
ერთგულების და გმირობის პინა
სულ გადასწონის, ირგვლივ რაც არი.
შენ ამ პოემის სიკეთე იცი, —
გზარდა და გაწრთო, როგორც ფოლადი.
დღეს შენც მართვე ხარ ქართული მიწის,
მის შემართებას გაუტოლადდი!
„ვეფხისტყაოსანს“ ისწავლის ვინაც,
არ შეიძლება იყოს ლაჩარი!



ეროვნული ბიბლიოთეკა



მეორე რიგში მარჯვნივ მეორე — როინ ჭურკვეიძე.

# «იცით, რა ბიჭი იყო?»

**ჩაისუბანი** — ჩაისა და მანდარინის პლანტაციებით გადახავერდებულ ფერდობებზე შეფენილი სოფელი ბათუმის შორიახლო... ლამაზ-ლამაზი ოდა-სახლები, დაწკრიალებული შუკები... ცენტრში — მემორიალური კედელი... ზედ 62 კერამიკული პორტრეტია აღბეჭდილი. მარჯვნივ 24 სურათია — იმათი, ვინც სამამულო ომის ქარტეხილს გადაურჩა; მარცხნივ — 38 შინმოუსვლელისა.

გასულ წელს, გმირულად დაღუპულ ჩაისუბნელთა პორტრეტებს კიდევ ერთი, ოცდამეცხრამეტე სურათი მიემატა. ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა გადაწყვეტილებით ეს პატივი წილად ერგო წითელარმიელ როინ ჭურკვეიძეს: მან მშვიდობიან დღეებში ფრონტული გმირობის დარი სიმამაცე ჩაიდინა, რისთვისაც სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოვდა მედლით „მამაცობისათვის".

როინ ჭურკვეიძე...

...**მზე** უმოწყალოდ აცხუნებს. ბიჭები აღმა მიჰყვებიან ტყიან ბუჩქნარს ვიწრო და ჩქარი მდინარის პირას. მუქ სიმწვანეში დროდადრო კრთება მზის ოქროსფერი სხივების ჩქერი. რაღაცნაირი იდუმალება სუფევს გარშემო... ამ იდუმალების ბრალი თუა, რომ ბიჭებმა უცებ თავი მეომრებად წარმოიდგინეს და ყიჟინით მოედნენ ბუჩქნარს, თავები დააყრევინეს ჩალმოსან „იანიჩრებს". მეორე წამს მამაც მზვერავებად გარდაისახნენ, ჩუმად მიიწევენ ფაშისტთა ზურგში...

დრომ შეუმჩნევლად გაირბინა. სახლი მხოლოდ მაშინ მოაგონდათ, როცა თამაზმა ახალშენაძენი პერანგი ბამბუკის ხმელ ღეროს შეახია და თვალნათლივ წარმოიდგინა, როგორ დატუქსავდა შინმისულს დედა, რომელმაც მეუღლე სამი წლის წინ დაკრძალა და ახლა ჭაპანწყვეტით მართავდა მრავალრიცხოვან ოჯახს. წარმოიდგინა და თვალზე ცრემლი მოაწვა.

როინი იქვე იყო და ის ცრემლი შეუმჩნეველი არ დარჩენია, სწრაფად გაიხადა პერანგი და მეგობარს გაუწოდა.

— აჰა, ჩაიცვი! შენი კი მე მომეცი. ჩაიცვი-მეთქი, მე კიდევ მაქვს სახლში, ზუსტად ასეთია...

როცა როინი შინ დახეული პერანგით მივიდა, დედამ გაკვირვებით შეხედა. შვილმა ყველაფერი უამბო. შეეძლო ეთქვა, მე დავხიეო, მაგრამ ტყუილს არ იყო დაჩვეული და წამითაც არ შეყოყმანებულა. დედამ ალერსით გადაუსვა ხელი ქოჩორზე.

არც მამა გაჯავრებულა. პირიქით: ალექსანდრეს გამოცდილი ჰქონდა ობლობა და კარგად იცოდა მისი სიმძიმე... უსიტყვოდ დააქნია თავი, ულვაშებში დამალა ღიმილი.

...**ჩაისუბნელები სწორად მოიქცნენ**, როცა მემორიალური კედელი იმ ადგილას აღმართეს, სადაც სკოლისკენ მიმავალ გოგონებსა და ბიჭებს უდევთ ყოველდღიური გზა. დღეში ორჯერ ხვდებიან ისინი გმირების მზერას. ყოველ მოზარდს ჰყავს შინმოუსვლელთა შორის მოგვარე ან ნათესავი... და კედელთან გავლისას როგორღაც თავისით წყნარდება ლაპარაკი, უფრო მტკიცე ხდება ნაბიჯი...

...**როინი ღელავს.** ხშირ-ხშირად ისწორებს ლამაზად გამონასკვულ ალისფერ ყელსახვევს... კიდევ ერთხელ შეავლო მზერა მემორიალურ კედელს, თვალი თვალში გაუყარა ბაბუას — აბდულ ჭურკვეიძეს, 1942-ში რომ დაეცა ფრონტზე გმირული სიკვდილით. ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, დღეს სიხარულითა და სიამაყით დაულოცავდა შვილიშვილს პიონერად ნათლობის წამს... მის ნაცვლად როინს ყოფილმა წითელარმიელმა, ომგადახდილმა დურსუნ ცეცხლაძემ გამოუნასკვა ყელსახვევი.

„ეჰ, გვიან დავიბადე!" — გაიფიქრა ბიჭუნამ და უცებ წარმოიდგინა, როგორ დაიკავებდა მატროსოვის ან გამცემლიძის ადგილს, ან როგორ აიჭრებოდა რაიხსტაგის თავზე წითელი დროშით ხელში...

მერე გადაებნენ ერთმანეთს პიონერული ცხოვრების საინტერესო დღეები — მეგობრობის, ინტერნაციონალიზმის, პატრიოტიზმის დასამახსოვრებელი გაკვეთილები...

**...როინი არ შემკრთალა:** ციმბირია და — ციმბირი იყოს! მან საკმაო წრთობა მიიღო სკოლასა და კოლმეურნეობაში საიმისოდ, რომ სიძნელეებისა არ შეშინებოდა. დოსააფის ავტოსკოლამაც ბევრი რამ შესძინა. ერთი სიტყვით, არმიულ გიმნასტურასთან ერთად როინს სამხედრო მანქანაც ჩააბარეს და დაიწყო მისი საინტერესო ჯარისკაცური ცხოვრება.

მეთაურებსა და თანამებრძოლებს მაშინვე თვალში მოუვიდათ მხარბეჭიანი, დაუზარელი და დისციპლინიანი ჭაბუკი. მძიმე რეისიდან, რთული დავალებიდან დაბრუნებულ როინს შეეძლო გვიან ღამემდე მიხმარებოდა მეგობარს მანქანის შეკეთება-გამართვაში. და მისი დახმარება ყოველთვის უანგარო და მაღალკვალიფიციური იყო.

**...მოულოდნელად სპორტულ დარბაზში** მეთაური შემოვიდა. როინმა ფრთხილად დაუშვა ფიცარნაგზე მძიმე შტანგა.

მეთაურმა თვალი მოავლო ჯარისკაცებს.

— დავალებული გვაქვს, დავეხმაროთ მილიციის ორგანოებს: გაიქცა და ქალაქში მიმალვას აპირებს შეიარაღებული ბანდიტი. უნდა გადავუკეტოთ გზები და შევიპყროთ... მოემზადებიან...

ვიდრე მეთაური გვარებს ჩამოთვლიდა, მებრძოლებმა წინ წამოდგეს ნაბიჯი. კაპიტანმა დაკვირვებით შეათვალიერა ისინი, ყოველ მათგანს კარგად იცნობდა: უმცროს სერჟანტებს დ. სანიკოსა და ვ. ჯანბეკოვს, რიგითებს ა. სმაილოვს, კ. სადიბეკოვს, რ. ჭურკვეიძეს...

**...ბანდიტმა ქოხში შეასწრო მდევრებს.** მის გარშემო თანდათან ვიწროვდებოდა ალყა. ღია ფანჯრიდან ავტომატის ლულა გამოკრთა და ტყვიით დაცხრილა არყის ხეები. მეომრები მიწას გაეკრნენ...

ოფიცრებმა ბჭობა გამართეს. რა უნდა ექნათ? რისკი არ ივარგებდა, ბანდიტი არაფრის წინაშე არ დაიხევდა უკან. ვიღაცამ — დავიცადოთ, რკინისა ხომ არ არის, გატყდება, დაგვნებდებაო. მაშინვე უარყვეს ეს წინადადება — უკვე ბინდდებოდა, ღამით კი ადვილია ალყის გარღვევა და მიმალვა.

— გარდა ამისა, — საათზე დაიხედა პოდპოლკოვნიკმა ი. რიჟკოვმა, — ნახევარ საათში სახალხო მატარებელი ჩამოივლის. ბანდიტმა რომ იქ შეგვასწროს, უბედურება დატრიალდება. არა, უნდა შევიპყროთ და თანაც დაუყოვნებლივ!

როინი დამსხვრეული აგურის გროვასთან იწვა, სწორედ ქოხის კარის პირდაპირ. მის გვერდით ერთიმეორეზე მიყოლებით გაირბინეს ოფიცრებმა — მათ გადაწყვიტეს, ჯარისკაცების სიცოცხლე სასწორზე არ შეეგდოთ და თვითონ შეეღწიათ ქოხში.

როინმა ავტომატი შემართა და



როინ ჭურკვეიძე

ქოხი მიზანში ამოიღო, რათა საჭიროებისას ცეცხლით დაეცვა მეთაურები.

სადღაც, შორს, მატარებელმა იკივლა. რ. ჭურკვეიძე მოუსვენრობამ შეიპყრო. „რომ გავქანდე და კარის მხრით შემტვრევა ვსინჯო? ვითომ გაუძლებს ჩემს სიმძიმეს?“ — გაიფიქრა და წამითაც აღარ შეყოვნებულა, წამოიმართა და გრიგალივით გაქანდა ქოხისაკენ...

წამები... მეტრები...

...ნეტავი რის გაფიქრება მოასწრო იმ წამებში როინმა? იქნებ მშობლები გაიხსენა? ან იქნებ ბაბუა, რომელიც არასოდეს უნახავს და რომელსაც მემორიალურ კედელთან მდგარმა გაუსწორა მზერა? იქნებ შოთა გამცემლიძის გმირობამ გაიელვა მის თვალწინ?..

სწორედ ქოხის ახლოს გაუსწრო პოდპოლკოვნიკ რიჟკოვს, მძლავრად დააჯახა კარს მხარი, შეანგრია, შელეწა, ქოხში შეიჭრა და ავტომატის ჯერს, რომელიც ბანდიტმა შემოაგება, საკუთარი მკერდი მიუშვირა. არავინ იცის, პირველმავე ტყვიამ გაუარა თუ არა გულში, ეს კია, რომ წითელარმიელი როინ ჭურკვეიძე კართან არ შეჩერებულა და კედელს გააკრა თავზეხელაღებული ბანდიტი.

პოდპოლკოვნიკმა რიჟკოვმა მუხლი მოიყარა გმირის ცხედრის წინაშე. ოფიცრებმა ქუდები მოიხადეს...

**...დიახ, კომკავშირელ როინ ჭურკვეიძეს** არ შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო. მთელი მისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ხომ მას თვალწინ ედგა ბაბუას, მშობლების, მასწავლებელთა, თანასოფლელების, მეთაურების მაგალითი, იმათი მაგალითი, ვინც ადამიანებთან, საქმესთან თავიანთი დამოკიდებულებით როინში ნამდვილი მამაკაცი, სამშობლოს ჭეშმარიტი დამცველი აღზარდეს. და როცა დადგა მისი, ჯარისკაც ჭურკვეიძის წამი, როინის არსებაში უცებ ყველაფერი დაფარა მოვალეობის გრძნობამ და სწორედ ამ წამმა მოუტანა მას უკვდავება.

— **...იცით ,რა ბიჭი იყო?** — იგონებენ თანასოფლელები, დიდი და პატარა, და სიყვარულით შეავლებენ თვალს სოფლის ცენტრში, მემორიალურ კედელზე გაკრულ როინის სურათს.

...აქ, ამ კედელთან, დღეში ორჯერ ჩაივლიან ხოლმე სკოლაში მიმავალი და სკოლიდან მომავალი გოგონები და ბიჭუნები...

ვლ. მიროშნიჩენკო,

კაპიტანი, გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ კორესპონდენტი

აისი
ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 2

## ხატაურა

მხიარულ ფანჯარაში მზე იჭყიტება. რაფაზე ხატაურა ჩამომჯდარა და თათებს ილოკავს. ნაცრისფერი თვალები და მოყავისფრო ფუმფულა ბეწვი ამშვენებს მას. ეტყობა, კუდზე შებმული ბაფთა ძალიან მოსწონს, ხშირად იპრეხავს კუდს და ცნობისმოყვარეობით აკვირდება.

უცებ ოთახში ფუტკარი შემოფრინდა და ქოთნის ყვავილზე დაჯდა. ხატაურამ ქოთანთან მიირბინა და ის იყო თათი უნდა აეწია, რომ ფუტკარი გაფრინდა და ხატაურამ ქოთანი ძირს გადმოაგდო. შეშინებული ფისო უხმოდ გაიძურწა.

გაბრაზებული ფუტკარი ზუზუნით გაშორდა იქაურობას. ხატაურა მაგიდაზე აძვრა და ჭიქას თამაში დაუწყო. თათებით აცურებდა მას და ერთობოდა. მაგრამ უეცრად ჭიქა მაგიდიდან გადავარდა და გატყდა.

ხატაურამ სხვა გასართობი რომ ვერ მონახა, ახლა წიგნებს დაუწყო თამაში, ფურცლები რომ დახია, მერეღა გაანება თავი.

მერე თოჯინა დაითრია, თმები დააწიწკნა და კაბა დაუხია. დაიღალა, დაიქანცა, ეტყობა, მოშივდა კიდეც. აძვრა მაგიდაზე და ქვაბში რომ რძე იყო, სულ ამოსვლიპა, მერე პიანინოს თავზე ახტა და ჩაიძინა.

ცოტა ხნის შემდეგ ოთახში წითელკაბიანი გოგონა შემოცქრიალდა. გატეხილი ქოთნის, ჭიქის, დახეული წიგნისა და გაწეწილი თოჯინის დანახვაზე გაოცდა, მაგრამ მერე მიხვდა, ვისი ნამოქმედარიც იყო ეს ყველაფერი. პიანინოსთან მივიდა და ხატაურას მიუალერსა. ნებიერმა ფისუნამ ოდნავ ჩაიკრუტუნა და ძილი განაგრძო.

**თამრიკო ზანგურაშვილი,**
148-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი.

### პირველი ზარი

სკოლისაკენ მიიჩქარის
ყველა ჩემი მეგობარი.
დაირეკა სკოლის ზარი
და შევაღეთ თრთოლვით კარი.

### მასწავლებელი

ჩვენზე მზრუნველი,
ჩვენთვის მშრომელი,
იცით, ვინ არის? —
მასწავლებელი.

**მარიკა არღანაშვილი,**
თბილისის 29-ე საშუალო სკოლა, IV კლასი.

## ნაკადული

ლაღად მილიკლიკებს პატარა, ანკარა ნაკადული. ისეთი გამჭვირვალე და კრიალაა, რომ ფსკერზე მკაფიოდ მოჩანს ლამაზი კენჭები.

მართალია, ნაკადული პატარაა, მაგრამ იცით, როგორი ძალა აქვს? ირგვლივ მაცოცხლებელ სურნელს აფრქვევს, ყველაფერს აღვიძებს და ძალას უდგამს. მის ნაპირებთან ბალახი ბიბინებს, ათასნაირი მინდვრის ყვავილები თავს იწონებენ. ვინ იცის, რამდენი სულდგმული დაწაფებია ცივ და გემრიელ წყალს, რამდენ ადამიანს მოუკლავს წყურვილი, მერე სიამოვნებით ჩამომჯდარა ნაპირზე და დამტკბარა ნაკადულისა და ბუნების სილამაზით.

ყველა ერთნაირად ხარობს პატარა ნაკადულის სიმშვენიერით — მცენარეებიც, ცხოველებიც, ადამიანებიც.

ერთგული დარაჯებივით იცავენ ნაკადულს მის გასწვრივ ჩამწკრივებული ხეები.

დაე, მარად იდინოს და ირაკრაკოს პატარა ნაკადულმა, მარად მიმოაფრქვიოს ირგვლივ მაცოცხლებელი სურნელი!

დაე, მარად იყოს სიცოცხლე ქვეყანაზე.

**ნანული გიორხელიძე,**
წულუკიძის № 9 სსპტ სასწავლებლის
ელ. მონტიორთა № 11 ჯგუფის
X კლასის მოსწავლე.

### უცნობი ჯარისკაცის საფლავთან

ჩვენ შენი წმინდა სამარის წინ
დავდექით კრძალვით,
მადლობის ნიშნად აგვიძგერდა
ნორჩი გულები.
შენ არ მომკვდარხარ,
ისევ ქვეყნის
მშვიდობას იცავ,
ჩვენი სამშობლოს
მცველთა რიგში
შენც გვეგულები.

### ჩემი საქართველო

მიყვარს საქართველო,
გულღია, ზღაპრული,
ათასგვარ ფერებით
მორთულ-მოკაზმული.
მე ეს ცა, ეს მთები
სიცოცხლეს მაყვარებს.
მშვიდობა ამ მხარეს!
დიდება ამ მხარეს!

**თამაზ დვალიშვილი,**
სურამის 1-ლი საშუალო სკოლა,
VIII კლასი.



მედოლეები.

**თინა ორჯონიკიძე,**
VI კლასი.

ერთი სიმაღლიდან მეორე სიმაღლემდე პიონერებს მარში მიგვიძღვება, მისი მარშრუტებით მივემართებით. მოგითხრობთ ჩვენი რაზმეულის საქმიანობაზე, იმაზე, თუ როგორ ცდილობენ ჩვენი პიონერები პირველი, მეორე და მესამე სიმაღლეების დაძლევას, როგორ გახდნენ ისინი მეგობრულნი, დამოუკიდებელნი, ორგანიზებულნი, საქმით, ქცევითა და აზრით უკეთესნი. პიონერულ საქმეში, თითოეული სიმაღლის დასაძლევ გზებზე მათი მოძმობაა: პიონერული სიტყვა, პიონერული საქმე, პიონერული ღირსება. რაზმეულის საბჭო 12 რაზმს ხელმძღვანელობს. მუშაობაში რაზმეულის საბჭოს ეხმარება მის წევრთა შორის განაწილებული ფუნქციების განუხრელად შესრულება. კარგი მუშაობით განსაკუთრებით გამოირჩევიან ოქტომბრელთა მეგობრობის საბჭოს ხელმძღვანელი ირმა ვახრამოვა, ნიკოლოზ მახარაძე, რომელიც სკოლის რადიოგადაცემა „ცისარტყელას" უძღვება, „ცისკრის" შტაბის მეთაური როინ ხინთიბიძე. რაზმებს და მათ შორის, მაგალითად, მარჯვენაფლანგელ VIIბ კლასელებს დღეს არ უჭირთ მე-3 სიმაღლის დაძლევა, — ეს, მათ სიყოჩაღესთან ერთად, რაზმეულის საბჭოს დახმარებისა და კლასის ხელმძღვანელების მზრუნველობის შედეგია.

როცა რაზმეულის შეკრებებს ვამზადებთ, დავალებები ყველა რაზმზე ნაწილდება ხოლმე. მის სამზადისში თითქმის სკოლის 432-ვე პიონერი მონაწილეობს.

რაზმეულის შეკრება „შენ სამშობლოს შუქმა გზარდა" ზოია კოსმოდემიანსკაიას მივუძღვენით. მის სახელს ატარებს ჩვენი რაზმეული. შეკრებისათვის მზადებას ყველა გულმოდგინედ შეუდგა. პიონერები გულისყურით გაეცნენ ამ მამაცი კომკავშირელის ბიოგრაფიას, წაიკითხეს დედამისის წიგნი „ზოიასა და შურას ამბავი". გმირი კომკავშირელის სურათებიც მოვძებნეთ და მასზე დაწერილი წერილებიც. დავის-




## ვემზადებით დიდი გამოცდისათვის

### სიტყვა ეძლევა ქ. მახარაძის მე-2 საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს ლელა დოლიძეს

წავლეთ ლექსები ზოიაზე. მოეწყო გმირობისა და მამაცობის გაკვეთილები. რაც მთავარია, ამ შეკრებაზე თითოეულმა პიონერმა საკუთარ თავს დაუსვა შეკითხვა, როგორ ვიცნობ ზოიას, მე როგორ მოვიქცეოდი მის ადგილზე, როგორ ამართლებს რაზმეული გმირი ქალიშვილის სახელს? შეკრების შემდეგ კი რაზმეულში დარჩა ზოიასადმი მიძღვნილი ალბომები, ხელნაწერი ჟურნალები, ნახატები, საკუთარი ლექსები. პიონერთა ოთახში ნორჩი მხატვრების, პიონერების კაპიტონ ჭანუყვაძისა და ავთანდილ სვანიძის ნახატების პერსონალური გამოფენაც მოვაწყეთ.

...ჩვენი რაზმეული საქართველოს კომკავშირის ყველა თაოსნობას აქტიურად ეხმაურება. მაგალითად, როცა რესპუბლიკის ახალგაზრდობა კაკლის ხეივნების გაშენებას შეუდგა, უქმად არც ჩვენ გავჩერებულვართ. მარტო VIIბ კლასმა 50 ძირი კაკლის ნერგი დარგო ცხაკაიას ქუჩაზე.

რაზმებს პიონერული სიმაღლეების აღებაში სკოლის რადიოგაზეთი „ცისარტყელაც" ეხმარება. „მასწავლებელი — შუქი გულისა", „მხარი ვუსწოროთ კომუნისტებს", „დიდება ლენინურ კომკავშირს", — აი, თემები რადიოგადაცემებისა, რომელთა მომზადებაში თითქმის ყველა რაზმის ყველა პიონერი მონაწილეობდა.

რაზმეულის საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პიონერთა მონაწილეობას რესპუბლიკურ და საკავშირო ოპერაციებსა და აქციებში, ახალი მარშის პროგრამაც ხომ გვთხოვს მათში მონაწილეობას. ეს გახლავთ „თეთრი ფარი", „შავი საბადო", „შუქურა" და სხვები. საინტერესოდ აეწყო სპორტული ცხოვრებაც. სკოლას ძლიერი ფრენბურთელები ჰყავს, რაზმეულის ჩემპიონობა კი მე-2 რაზმმა მოიპოვა.

ჩვენ ბევრი მეგობარი შევიძინეთ, მათთან ურთიერთობა გვამდიდრებს ცოდნით და პიონერული მუშაობის გამოცდილებით. ჩვენი მესამერაზმელები მახარაძის მე-4 რუსულ საშუალო სკოლასთან მეგობრობენ, ისინი ხშირად ერთად ამზადებენ რაზმის შეკრებებს, საინტერესო შეხვედრებს, ატარებენ სპორტულ შეჯიბრებებს, ერთად დადიან ექსკურსიებზე.

...მუშაობაში ნაკლოვანებებიც გვაქვს, ჩვენ ეს ვიცით და მათ გამოსწორებაზეც ვზრუნავთ. საერთოდ კი ჩვენი რაზმეული საინტერესოდ ცხოვრობს. მის 12-ვე რაზმში იგრძნობა პიონერთა აქტიურობა, პასუხისმგებლობა პიონერული საქმეების გამო, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ბრძოლა პიონერული ღირსებისათვის. თუმცა ზოგჯერ მაინც ვხვდებით ფორმალიზმს პიონერულ მუშაობაში. ეს განსაკუთრებით პიონერულ შეკრებებს ეხება; დასამალი არ არის და, რაზმის შეკრებები უმეტესად საზეიმო ხასიათისაა. იმის საშუალებასაც კი არ იძლევა, რომ შიდა სარაზმო მუშაობას შევეხოთ. გვინდა ყველა სიძნელე რაზმეულში უფროსი პიონერების, პიონერული საქმეების მთავარი ორგანიზატორის დახმარებით დავძლიოთ. ყველა მოუთმენლად ელოდება სასწავლო წლის დამთავრებას და რა თქმა უნდა, ღელავს, წელს ხომ პირველად შევუდექით ახალი მარშის მოთხოვნების შესრულებას, სასწავლო წლის ბოლოს კი პიონერული შემოწმებაა, და ჩვენ გვინდა პირნათელნი წარვდგეთ ამ პირველ გამოცდაზე.



# თერთმეტი წლის გმირი

**რენე მენდეს კაპოთე** (კუბელი მწერალი)

ქალაქიდან საკმაოდ მოშორებით, ერთი დაბურული და გაუვალი ტყის შუაგულში კუბელი გლეხის — ნიკასიო მარტინესის სარჩო-საბადებელი — პატარა მამული იყო გადაშლილი. სიშორის გამო აქ ყველაზე გვიან აღწევდა ქალაქიდან მომავალი ცნობები. პატარა მიწის ნაკვეთი ნიკასიოს არსებობის, სიცოცხლისა და პატიოსნების ნაწილი იყო და თვითონ ნიკასიო — ისეთივე კუბელი, როგორც მიწის ის მცირე ნაგლეჯი.

ნიკასიოს ერთობ მოხერხებულ ადგილას ჰქონდა გაშენებული თავისი პატარა საცხოვრებელი. ნოყიერ, შავნიადაგიან მიწის ნაკვეთს ერთი მხრიდან ლამაზი გზა გასდევდა, მეორე მხრიდან კი ნაკადული ჩამოუდიოდა.

ქოხთან ორი მოზრდილი ფლამბოს ხე იდგა და საიდუმლოებით მოცულ ჩრდილს აფენდა კარგად მოვლილ კარ-მიდამოს.

ნიკასიო მარტინესისა და მისი მეუღლის — აგუედას არსებობას ავსებდა და ახალისებდა შვიდი შვილი. ხოსეიტო — ბიჭებში ყველაზე უფროსი, — შრომაში, რომ იტყვიან, მართლაც მამის მარჯვენა ხელი იყო; მომდევნოს, თოთხმეტი წლის ხუანს, უკვე მოწიფულობაში ჰქონდა ფეხი შედგმული და თავის ღორებს შესაშური გულმოდგინებით უვლიდა. ღორების მოვლა-პატრონობის მეტი მას არც არაფერი ევალებოდა. ამ მკვირცხლსა და ბეჯით ბავშვს შრომა უყვარდა და მთელ დღეს ხელს არ გააჩერებდა. საოჯახო საქმეებში დედას გოგონები ეხმარებოდნენ, დაუზარებლად მუშაობდნენ და ოჯახს ხალისითა და სიხარულით ავსებდნენ.

მყუდროდ და ერთფეროვნად მიდიოდა ნიკასიოს ოჯახის ცხოვრება, მაგრამ დადგა 1895 წელი და მთელ კუბაში გახმიანდა მოწოდება: — „გაუმარჯოს თავისუფალ კუბას!“ ამ ხმამ ნიკასიო მარტინესის მყუდრო ქოხამდეც მიაღწია და მთელი ოჯახი აღფრთოვანებით აანთო. ახლა ყველა — დიდი თუ პატარა გატაცებით უსმენდა მოხუცების მონათხრობს ომზე, მასეოს, მაქსიმე გომესის, კალისტო გარსიას გმირობასა და ბაიამოს ხანძარზე.

— ყველაფერს გადავწვავთ! — გაიძახოდნენ კუბელები. — გადავწვავთ და ესპანელებს კი ხელში არაფერს ჩავუგდებთ!

ეს ხმა ნიკასიოს ბიჭებსაც მოსვენებას უკარგავდა, კუჩო და მისი ძმები ღამეებს თეთრად ათენებდნენ, თავიანთი სოფლის ბედ-იღბალზე ფიქრობდნენ.

1895 წლის მარტის ერთ საღამოს საშინელი ამინდი დაიჭირა, ქარი მძვინვარებდა და შაქრის ლერწამს ძირიანად გლეჯდა. შეწუხდა დედა, უკვე ბინდდებოდა, მეუღლე კი არსად ჩანდა. ამინდი სულ უფრო ფუჭდებოდა.

— კუჩო, შვილო, შემოდი სახლში, ხომ ხედავ, რა სიცივეა! — დაუძახა დედამ კუჩოს.

— ცოტა ხანი კიდევ, რა, დედიკო! — გამოეპასუხა დედას კუჩო, რომელიც ფლამბოს ხის ტოტს შურდულს უმიზნებდა.

— მოდი ბიჭო, საჭმელი ჭამე, მამაშენს ველარ დავუცდით, ჩვენ ვისადილოთ, იმას კი თავისი წილი კერძი შევუნახოთ.

— ეტყობა, მამას მამლის გაყიდვა გაუძნელდა და იმიტომ დააგვიანდა, — თქვა ხოსეიტომ.

— უყურეთ! — თქვა დედამ და ცას ახედა, — ჯერ შვიდიც არ არის და უკვე ბნელა!..

კუჩო გულდაწყვეტილი შევიდა შინ და მალე ყველანი სუფრას შემოუსხდნენ. დაგვიანებული სადილი ოჯახმა უხმოდ დაამთავრა.

ქარი არ ცხრებოდა, ძლიერად უბერავდა და ნამთის



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამპას აქეთ-იქით აქანავებდა, თითქოს შუქს ეთამაშებაო.

ცოტა ხნის შემდეგ ცხენის ფლოქვების თქარუნი გაისმა.

— მამაა! — მხიარულად წამოიძახეს ბიჭებმა.

— ნეტავ თუ გაყიდა მამალი? — იკითხა ერთ-ერთმა.

ნიკასიო მარდად ჩამოხტა ცხენიდან და სახლში სახეგაბრწყინებული შევიდა.

— აღსრულდა, ბიჭებო! როგორც იქნა გველირსა!..— წამოიძახა მან. სულ სხვანაირად, ახლებურად ჟღერდა ნიკასიოს ხმა. — მთელი კუბა აღდგა მტერთან საბრძოლველად! ერთი თვეა, ბაირეში აჯანყდნენ. მგონი, ბოლოს და ბოლოს დადგა დრო, ჩვენც შევუერთდეთ ხალხს. ხვალ ლეონსიო ბიდალის რაზმს მთაში უნდა გავყვეთ.

ოთახში ჩამოვარდნილი ავბედითი სიჩუმე ნიკასიოს ერთ-ერთი გოგონას ყრუ ქვითინმა დაარღვია. მაშინ დედის მტკიცე ხმა გაისმა:

— ჰო, შვილებო! ომი, ეტყობა, არ აგვცდება, მაგრამ ომი მამაკაცების საქმეა. ჩემი მამაც და პაპაც დიდ ომში მონაწილეობდნენ. მათ ყველაფერი დაკარგეს, მიწის გარდა. მამაჩემი იტყოდა ხოლმე, თქვენ რომ არა, მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევას მარტო ჩვენ ვერ შევძლებდითო. ამ ქოხში დაიბადნენ ჩემი პატარა ძმები. მე ისინი კარგად მახსოვს, მძიმე ცხოვრება გვქონდა... მაგრამ მოსახდენი უნდა მოხდეს, დადგა კუბის განთავისუფლების ჟამი.

ხოსეიტო სამზადისს შეუდგა, მამასთან უკვე შეღერებული ხუანი მივიდა:

—მე რაღა ვქნა, მამა? — ჰკითხა, — მეც მინდა თქვენთან წამოსვლა.

— ხუანიც, ნიკასიო? — შეშფოთდა დედა, — რა დროს ხუანის ომია! ძალზე პატარაა ომისათვის.

— კუბას მამაკაცები სჭირდება! — მტკიცედ მიუგო გლეხმა. — ჩემი ბიჭი კი უკვე ნამდვილი მამაკაცია!.. წადი, შვილო, შენც მოემზადე... იცოდე, დილით ადრე უნდა ავდგეთ.

ღამე ნელა, მძიმედ მიიზლაზნებოდა.

როცა ქოხში განთიადის პირველმა ნათელმა შემოიხედა, ნიკასიო უკვე ფეხზე იყო. ახალი ტანსაცმელი, ახალი წინდები, შუბლზე ჩამოფხატული სომბრერო რაღაც განსაკუთრებულ საზეიმო ელფერს აძლევდა მას. ორი უფროსი ვაჟი შეიარაღებული უცდიდა მამას. აგუედა ტიროდა, მაგრამ მაინც მუხლჩაუხრელად ფუსფუსებდა, ეშინოდა, შვილებს არაფერი დავიწყებოდათ.

— ხოსეიტო, ტანსაცმელი თუ მიგაქვს სამყოფი? ხუან, შვილო, საგზალი არ დაგრჩეს... ნიკასიო, კაცო, დარწმუნებული ხარ, რომ ლეონსიო ბიდალს აუცილებლად შეხვდები და რომ იარაღს მოგცემს?.. იცოდე, თავს გაუფრთხილდი...

ნიკასიომ სიყვარულით შეხედა მეუღლეს.

— გმადლობ, აგუედა, მაგ დარიგებას ისა სჯობს, კუჩო გააღვიძო... რაღაც უნდა ვუთხრა.

— უკვე ტყეში მიდიხართ? — ჰკითხა აღფრთოვანებულმა კუჩომ.

— კუჩო, შვილო, — სერიოზულად უთხრა მამამ უმცროს ვაჟიშვილს — შენ ახლა ერთადერთი მამაკაცი იქნები სახლში. ესპანელები თუ მოვიდნენ, ქალებთან ერთად მთაში უნდა გაიხიზნოთ. იქ ჩვენიანებს მოძებნი და შეუერთდები. გახსოვდეს, თუ ესპანელებმა მოგისწრეს, არც დედაშენი და არც შენი დები მტერს ცოცხლად ხელში არ უნდა ჩაუგდო! გახსოვდეს, ჩემო ბიჭო, რომ შენ თავისუფალ კუბას ეკუთვნი! თქვენ კი, — მიუბრუნდა იგი ქალებს, — რითაც შესძლებთ დაეხმარეთ ჩვენებს მთაში.

იმ დღის შემდეგ ცხოვრება კიდევ უფრო დაიძაბა. დღისით ქალები მიწას ამუშავებდნენ. კუჩოც დაუზარებლად ეხმარებოდა მათ. როგორც კი სოფელში ბინდი ჩამოწვებოდა, მათთან აჯანყების მონაწილეები მოდიოდნენ და ახალ-ახალ დავალებას აძლევდნენ ან კიდევ ახლომახლო სოფლებიდან აკრეფილ ცნობებს იღებდნენ. ოქტომბრის შუა რიცხვებში, ერთ ღამეს აჯანყებულთა ხელმძღვანელმა თავისი მებრძოლებით ნიკასიო მარტინესის ქოხს შეაფარა თავი. გარეთ საშინელი ამინდი იდგა. ღამემ თითქოს მშვიდად ჩაიარა, მაგრამ გათენებისას კუბელთა მცირე რაზმი კიდევ შეიჭრა ტყეში. ცოტა ხნის შემდეგ სროლის ხმა მოისმა. სროლა თანდათან ახლოვდებოდა. შუადღის ხანს აგუედასთან სასოწარკვეთილებისაგან ღონემიხდილი მეზობლის ქალი მოვარდა და საშინელი ამბავი მოიტანა:

— აგუედა, ესპანელების რაზმები მოდიან... ანასტასიო ძიას სახლკარი სულმთლად გადაუბუგეს, ქვა-ქვაზე აღარ დატოვეს...

ამ დროს კუჩო მინდვრიდან ბრუნდებოდა. როგორც კი მეზობლის სიტყვებს მოჰკრა ყური, ყოველთვის მხიარულსა და სიცოცხლით სავსეს სახე აელეწა, იმ წამსვე მამის სიტყვებმა გაუელვა გონებაში, ნათლად წარმოიდგინა თავისი მამაკაცური მოვალეობა, დედას მიუახლოვდა და ისეთი მტკიცე ხმით დაუწყო ლაპარაკი, რომ მისი შეწინააღმდეგება აღარ შეიძლებოდა.

— დედა, სასწრაფოდ აიღეთ იარაღი და ტყეში გაიქეცით! დროს დაკარგვა არ შეიძლება... მთაში ჩვენებს შეუერთდებით...

— მერე შენ, კუჩო? — ჰკითხა შეწუხებულმა დედამ.

— მე აქ დავრჩები! — მტკიცედ მიუგო კუჩომ — ვინმემ ხომ უნდა შეაჩეროს ესპანელები, ვიდრე თქვენ ტყეს შეაფარებდეთ თავს?!.. წადით, ნუღარ აყოვნებთ, მე აქ დავრჩები!

დედა უხმოდ უსმენდა შვილს, მერე თავის სამ ქალიშვილს შეხედა და როცა წარმოიდგინა რა საშიშროება ელოდა მათ, მწუხარებისაგან გული შეეკუმშა, აღარ შეყოყმანებულა, კუჩო გულში ჩაიკრა, ჩაეკონა, ერთი ამოიოხრა და უსიერ ტყეს მიაშურა.

... ქოხის წინ, ფლამბოს ძირში თერთმეტი წლის კუბელი ბიჭი მარტოდმარტო, უიარაღოდ უცდიდა მტრის

ჯარისკაცების გამოჩენას. ლოდინიც დიდხანს არ დასჭირვებია.

— ეი, ბიჭო! — დაუძახა კუჩოს ერთ-ერთმა ესპანელმა, რომელიც, როგორც ჩანდა, კაპიტანი უნდა ყოფილიყო — მოდი ერთი აქ, რაღაც უნდა გითხრა!

— მიბრძანეთ, ბატონო, რა გნებავთ? — წყნარად მიუგო კუჩომ.

— რაზმელებს აქეთ ხომ არსად გაუვლიათ? არ იცი, საით წავიდნენ?

ეს დაკითხვის დასაწყისი იყო, რომელსაც დიდხანს ეწერა გაგრძელება, რადგან ბიჭს არც ერთ შეკითხვაზე პასუხი არ გაუცია, დრო გადიოდა, ბავშვი ძალღონეს კარგავდა, შიმშილმა და წყურვილმა მოთმინება გამოულია... იყო წუთები, როცა გამწარებულს უნდოდა ეყვირა „დედა!“, მაგრამ უმალ ტუჩებს იკვნეტდა და კრინტს არ ძრავდა.

ესპანელებიც დაიღალნენ. ამ ბიჭის გაუტეხელობამ მთლად გააცოფა ისინი. ბოლოს კაპიტანმა იარაღი იძრო.

— შეხედე! — უჩვენა მან ბიჭს იარაღი, — მოდი, მოვრჩეთ ერთხელ და სამუდამოდ... რა არის ეს?

კუჩო იარაღს უყურებს და თვალებდაჭყეტილი ეუბნება:

— არ ვიცი... არასდროს მინახავს...

— ეს სასტვენია. გინდა დაუსტვინო? — უთხრა კაპიტანმა და ბიჭს იარაღი სახესთან მიუტანა.

კუჩომ პისტოლეტის ლულაში ჩაუბერა და თან გაიფიქრა: „როგორ არ ვიცი, რაც არის, რამდენ ასეთს გაუვლია ჩემს ხელში“.

— არ უკრავს, — თქვა კუჩომ ხმამაღლა.

— მართალია, არ უკრავს, — უპასუხა გაცეცხლებულმა ესპანელმა, — მაგრამ ახლავე დაუკრავს, თუ არ მეტყვი, რამდენი კუბელი აჯანყებული იმალება ამ ადგილებში, ვინ იყო აქ და რა მიმართულებით წავიდნენ?

კუჩომ კაპიტანს შეხედა. ბიჭის კუშტ გამოხედვაზე ოფიცერი მიხვდა, რომ ის არაფერს იტყოდა.

— თქვი, მითხარი, ხმა ამოიღე, თორემ გცემ! — დასჩხავლა ბიჭს კაპიტანმა და წიხლი ჩასცხო.

კუჩო მიწაზე დაეცა, სუნთქვა ეკვროდა, თითქოს რაღაც აწვებოდა ყელში და თანდათან ახრჩობდა. ბავშვის ყრუ ხრიალი მხოლოდ ესპანელებს ესმოდათ. ეს ხრიალი ალბათ მთელი ძალით ამოხეთქავდა გულის სიღრმიდან, მაგრამ ბიჭი თავს ძალას ატანდა და მოწოლილ გმინვას კბილების ღრჭიალით ახშობდა. კუჩოს საქციელმა მთლად გააცოფა კაპიტანი, იგრძნო რომ ამ პატარა ბიჭს მეტი შეეძლო ვიდრე მას, ესპანელ კაპიტანს. მისმა საქციელმა საბოლოოდ დაარწმუნა კუბელი ხალხის ურყევ ნებისყოფაში, თვალნათლივ დაანახვა, თუ როგორ უყოყმანოდ ეწირებოდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას კუბელები.

მოთმინებადაკარგულმა კაპიტანმა საფეთქელთან მიუტანა ბიჭს პისტოლეტი.

—სამ წუთს გაძლევ! — დაიღრიალა, — თუ ყველაფერს არ იტყვი, ტყვიას დაგახლი.

კუჩომ ცაზე გადაიტანა მზერა. ეს ზეცა ყოველთვის ლურჯად უღიმოდა მას, მაგრამ ასე ლაჟვარდოვანი და ფირუზისფერი თითქოს არასოდეს ყოფილა მისი მშობლიური ცა...

ბიჭმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ფეხზე წამოიმართა, წელში გასწორდა, ჯიქურ შეხედა ესპანელ ჯარისკაცებს და დაიყვირა:

— გადაეცით... ვინმემ გადაეცით მამაჩემს, რომ კუჩო მოკვდა, როგორც ნამდვილი მამბი! გაუმარჯოს განთავისუფლებულ...

კუჩოს ხმა სროლის საშინელმა გრიალმა დაფარა... მაგრამ ძახილი ამაოდ არ გახმიანებულა. იგი ტყემ აიტაცა და კიდით კიდემდე მიმოფანტა, როგორც მძლავრი გამოძახილი. ეს ძახილი შერჩა მაყვლის ბუჩქებსა და პალმის კენწეროებს... ეს ძახილი დარჩება კუნძულის ყველა კუთხეში, როგორც ნათელი ხსოვნა პატარა გმირისა. არასოდეს ჩაქრება იგი კუბელი ხალხის გულში.

ესპანურიდან თარგმნა გულნარა გოგუაძე

## ქანდაკება ცოცხალი მცენარეებით

ყმაწვილებო! „პიონერის“ 1978 წლის მე-9 ნომერში თქვენ გაეცანით ჰერბარიუმით, მშრალ, ხმელ მცენარეთა ნაწილებით „ფერწერას“.

ახლა კი აქ წარმოდგენილია ცოცხალი მცენარეებით ძერწვა-ქანდაკების ერთი ნიმუში — ცეკვა „ხორუმი“. არც ასეთი და სხვაგვარი კომპოზიციების შექმნაა ძნელი. ცხადია, საჭიროა ცოტაოდენი მხატვრული ნიჭი, მოწადინება და გამოცდილება — ალბათ ყველა თქვენგანს პლასტელინით ბევრი რამ გამოუქანდაკებია.

მაშ ასე, შევუდგეთ საქმეს.

თქვენი სკოლის ეზოში, უმჯობესია — მოლზე, გზის ან მოედნის პირას, შეარჩიეთ თავისუფალი მზიანი ადგილი. „ხორუმისათვის“ საჭიროა 3-5 მეტრი დიამეტრის წრე, სადაც თავისუფლად დაეტევა 1-1,5 მეტრის სიმაღლის 12-14 მოცეკვავე ბიჭი.

წარმოსახვითი წრეხაზის გაყოლებით მიწა ღრმად გადაბარეთ (ნახევარი მეტრის სიგანეზე), გააფხვიერეთ ფოცხით, მოაცალეთ სარეველები ფესვებიანად. მოაყარეთ 6-8 ვედრო ორგანული სასუქი და გათოხნეთ. წრეხაზზე ყოველი 50-70 სანტიმეტრის დაშორებით პატარა პალოებით მონიშნეთ წერტილები, სადაც ამოჭრით ორმოებს 30-40 სმ-ის სიგანითა და სიღრმით. სანერგეში თავის გუნდა მიწიანად უნდა ამოთხაროთ ცხრატყავაწერილფოთოლა, კვიდო-ჩვეულებრივის ან კვიდო-იაპონურის ისეთი ეგზემპლარები, რომლებსაც ფესვის ყელიდანვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექნება სამი ან ოთხი ვერტიკალური „წკეპლა“ ტოტები. ნერგები გადმოიტანეთ გუნდა მიწის დაუშლელად და ჩარგით ორმოებში. კარგია, თუ ეს სამუშაო შესრულდება 15 თებერვლიდან 15 აპრილამდე. შემდეგ მოამზადეთ არმატურა, რომელზედაც უნდა აახვიოთ მცენარის ტოტები. არმატურა მზადდება 6-8 მილიმეტრი სისქისა და დაახლოვებით 1,8





მეტრი სიგრძის რკინის მავთულებისაგან. მავთულები მოხარეთ ნახაზზე აღნიშნული ფორმით და თითოეული მათგანი დაარჭეთ ნერგის შუაში, მიწაში 20-30 სანტიმეტრის სიღრმეზე. ლაჯებისა და ხელების სიმაღლეზე ნერგის ტანი შეკარით წვრილი მავთულით ან შპაგატით, ხელების ადგილას კი მთელ წრეს შემოავლეთ ერთი მთლიანი მავთული. შემდეგ მცენარის ერთი ტოტი აახვიეთ მწვანე ფერის ორმაგი ძაფით ერთ ფეხსა და ტანზე, მეორე ტოტი — მეორე ფეხზე, კენწეროები გადააახვიეთ ხელებზე, ხოლო მესამე და მეოთხე ტოტები, ამოჰყვებიან ფეხებსა და ტანს და დაიკავებენ „თავიანთ“ ადგილს. ამათ კენწეროს გადააჭრით იმგვარად, რომ შემდგომ, ზრდის პროცესში, გამოიყვანოთ თავის მრგვალი ფორმა. ამით ძირითადი სამუშაო დამთავრებულია. შემდეგ საჭიროა რეგულარული რწყვა, ფესვის ყელის ირგვლივ ნიადაგის გაფხვიერება და ყოველი ახალი ტოტის გამოჩენისთანავე მისი ახვევა, ზედმეტი ტოტის თუ ფოთლის შეჭრა ისე, რომ გამოისახოს სხეულის ნაკვთები. გაივლის მცირე დრო და დატკბებით საკუთარი ნახელავით.

ირაკლი ხმალაძე

---



## ახალი წიგნები

**ნარგიზა მგელაძე**

### თეას და ნათიას არდადეგები

ეს ლამაზად დასურათებული, საკმაოდ მოზრდილი წიგნი თითქმის ერთი ამოსუნთქვით იკითხება, მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს ისეთი მძაფრი სიუჟეტი, როგორიც, ვთქვათ, სათავგადასავლო ნაწარმოებისათვის არის დამახასიათებელი. წამკითხველს აქ სხვა რამ ატყვევებს.

ჩვეულებრივი თბილისელი გოგონები, დები თეა და ნათია გვიყვებიან თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაზე ოჯახში თუ მის გარეთ, საკუთარი თვალით დანახულ და ბავშვური უშუალობით აღქმულ ამბებზე. და ამ ჩვეულებრივ ყოველდღიურობაში იხატება პატარების სულიერი სამყარო, გარემო, სადაც ისინი ტრიალებენ. ჩვენც თითქოს ამ გოგონების კვალდაკვალ ვიზრდებით თანდათან, გვიფართოვდება თვალსაწიერი, მათთან ერთად ვიხიბლებით თანამედროვე სოფლის სურათებით, ვმონაწილეობთ საცურაო აუზში მოწყობილ შეჯიბრებებსა თუ სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში, უფრო მეტად ვიყვარებთ სიკეთეს, ვგმობთ სიცრუეს, ვსუნთქავთ ჰარმონიული ოჯახის სუფთა ჰაერით...

მოთხრობის თითოეული პერსონაჟი დახატულია მწერლური ოსტატობით, ენა ბუნებრივი, ლაღია. მომხიბლავია კეთილი იუმორი, რომელიც წიგნს თავიდან ბოლომდე მიჰყვება.

„მწერალს უნდა, მისი თეა და ნათია ყველაზე მდიდარი ადამიანები იყვნენ — იმდენი მეგობარი ჰყავდეთ, რამდენი ბავშვიც ამ წიგნს წაიკითხავს“ — გვაუწყებს „თეას და ნათიას არდადეგების“ ანოტაცია. მართლაც, ნარგიზა მგელაძის მშვენიერი მოთხრობის ყველა მკითხველი დაუმეგობრდება ამ ორ გოგონას, რამეთუ მათ უკვე იციან მეგობრობის ფასი და ნამდვილ ადამიანებად იზრდებიან.






**ძაღლის თაყვანისმცემლები**

ძნელი წარმოსადგენია, სადმე ისე უყვარდეთ ძაღლი, როგორც ჯუნგლებში, სადაც ინდიელთა ვაი-ვაის ტომი ბინადრობს.

დაიბადებიან თუ არა ლეკვები, მათ მაშინვე ბალახის საიდუმლო ნაყენში აბანავებენ. ეს ნაყენი, ინდიელთა რწმენით, ახალშობილს ძალ-ღონესა და დიდი ხნის სიცოცხლეს ანიჭებს. თუ დედაძაღლი ისეა დასუსტებული, რომ ლეკვების გამოკვება უჭირს, მეძუძურობას ინდიელი ქალები კისრულობენ. მზრუნველ პატრონებს ლეკვები დღეში სამჯერ მიჰყავთ მდინარესთან, სადაც ბანენ მათ და ბეწვს უვარცხნიან. ძაღლები ინდიელთა ყველა ზეიმის საპატიო სტუმრები არიან, ამ ზეიმებზე ისინი ლამაზად მორთულ-მოკაზმულნი მოჰყავთ. დაბერებულ ძაღლებს, რომელთაც საკბილოს შოვნა უჭირთ, ხელით აჭმევენ, საუკეთესო კერძებს სთავაზობენ. ძაღლის სიკვდილს ისე გლოვობენ, როგორც ოჯახის წევრის გარდაცვალებას.

ესოდენ დიდ მზრუნველობას ძაღლები უსაზღვრო ერთგულებით უპასუხებენ: ვაი-ვაიელთა სოფელში არც ერთ „დაუპატიჟებელ სტუმარს“ არ გააჭაჭანებენ, თავგამოდებით გუშაგობენ ქალებსა და ბავშვებს.

**ტკბილი ტელეფონი**

თუ კანადა „ნეკერჩხლის ფოთლის ქვეყანაა“, ყველაზე „ნეკერჩხლიანი“ პროვინცია აქ კვებეკია, რომლის პლანტაციებშიც მილიონობით ნეკერჩხალი ხარობს. მარტ-აპრილში იწყება ამ ხის წვენის მიღების სეზონი. წვენისაგან საყოველთაოდ ცნობილ ვაჟინს (სიროფი) იღებენ, რომელსაც ნაირ-ნაირი ტკბილეულისა და სანელებლების დასამზადებლად იყენებენ. კვებეკელ დიასახლისებს ემსახურებიან სპეციალური „ტკბილი ტელეფონები“. ეს ტელეფონები ჩვეულებრივი ავტომატური ტელეფონებივით მუშაობენ, ოღონდ მათგან ერთი რამით განსხვავდებიან: ახალი ვაჟინის ჩამოსასხმელად სათანადო ნომერი უნდა აიკრიფოს მონეტის ჩაუგდებლად.

**კუჭიდან იბადებიან...**

ავსტრალიელმა ზოოლოგებმა გადაიღეს სურათები, თუ როგორ აჩენს შთამომავლობას ბაყაყის ადგილობრივი სახეობა „რეობიტრახუსი“. ეს ბაყაყი დაყრისთანავე ყლაპავს თავის ქვირითს. კუჭში ქვირითი მომწიფდება, იჩეკებიან თავკომბალები, რომლებიც მუცლის სითბოში უფრო იზრდებიან, ვიდრე წყალში, და მალე ბაყაყებად იქცევიან.

სურათების გადაღება საკმაოდ გაძნელებულა. პირველმა ბაყაყმა ტერარიუმში (შემოღობილ მიწის ნაკვეთში), სადაც დაკვირვებებს ახდენდნენ, თავისი შვილები ელვის სისწრაფით გადმოაფურთხა 60 სანტიმეტრზე. მეორე ბაყაყი უფრო დინჯი აღმოჩნდა და სწავლულებმა მოასწრეს გადაეღოთ სურათები; ბაყაყმა პირი გააღო და ორი პაწაწინა ბაყაყი თვითონ გადმოხტა ქვედა ყბიდან ხავსზე. რამდენიმე წუთის შემდეგ დედამ ოთხი შვილი გამოუშვა სამზეოზე, რასაც წამზე ნაკლები დრო მოანდომა. შემდეგ ერთ ხანს მშობიარობა დაყოვნდა. საბოლოოდ, ერთი კვირის განმავლობაში ასეთი არაჩვეულებრივი სახით 27 პაწია ბაყაყი მოევლინა ქვეყანას.

სწავლულები იმის მოწმენიც გახდნენ, რომ ერთმა ბაყაყმა, როცა ტერარიუმში ულონო შვილი იპოვნა, გადაყლაპა იგი, როგორც შემდეგ გამოირკვა, — თავის კუჭში მოსამწიფებლად.



## სარჩევი

**ა. არაბული** — საქართველოს სადიდებლად თქმული (ლექსი) . . . . . . . . . . . . . გარეკ. 2
**ზ. ჩხაიძე** — ჯადოსნური საყვირი (მოთხრობა) . 1
ჩვენი წვლილი სასურსათო პროგრამაში (წერილები) . . . . . . . 8
**რ. ჩაჩანიძე** — იზარდე, მწვანე ჯეჯილო! (მოთხრობა) . . . . . . . . . . 10
**ზ. ვაშაკიძე** — აქ მოსაწყენად არავის სცალია (ნარკვევი) . . . . . . . . . 16
**ა. ლორია** — განვლილი ზაფხული (მოთხრობა) . 18
**გ. მეტრეველი** — მამის წერილი ჯარისკაცს (ლექსი) 23
უ ც ხ ო უ რ ი ი უ მ ო რ ი . . . . . . . . . . 23
**ვლ. მიროშნიჩენკო** — „იცით, რა ბიჭი იყო?“ . 24
ა ი ს ი . . . . . . . . . . . . 26
კ ო ც ო ნ ი . . . . . . . . . . . 27
**რენე მენდეს კაპოთე** — თერთმეტი წლის გმირი (მოთხრობა) . . . . . . . . . . 28
**ი. ხმალაძე** — ქანდაკება ცოცხალი მცენარეებით (წერილი) . . . . . . . . . . 30
ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი . . . . . . . . 31
ჯ ა დ ო ს ნ უ რ ი ს ა რ კ ე . . . . . . 32
ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი — . . . . . . . გარეკ. 3.
**ს. შამფრიანი** — საქართველოს ლაზათია (ლექსი) . . . . . . . . . . . . . გარეკ. 4

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა გურამ გელოვანისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ ბოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, რობერტ ლარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-08, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 23. 12. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 02. 83 წ., ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_3$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 3031. ტირ. 152.900. ეგზ. უე 06922.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60 \times 90^1/_3$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 152900 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი“, 1983 წ.



## აბა სცადე!

ქაღალდიდან ფანქრის მოუცილებლად გაავლე სამი სწორი ხაზი ისე, რომ თევზები წყვილებად დაიყონ.



## გამოცანები

ნაწვიმარზე ტყეში თითქოს
მოაპნიეს ბლუჯად
უთვალავი ქონდრისკაცი —
ჩუმჩუმელა ჯუჯა.
ზოგს — ნეშო და ზოგს — ბალახი
აფარია თავზე,
ზოგს კეთილი გული აქვს და
ზოგსაც — შხამით სავსე.

ყინულეთში ცხოვრობს
უკვე დიდი ხანი,
სასაცილოდ დადის,
უთამთამებს ტანი,
ფრინველია, მაგრამ
უქმად დააქვს ფრთანი.

თითქოს უბრალო ჩიტია,
მომცრო და შეუხედავი,
მაგრამ მგოსანი ისეთი —
მე და შენ ვიყოთ ნეტავი.

თუ რამე ნახა საკბილო,
დაუზოგავად კაფავს.
ბოლოში თითებს დააჭერ,
წვერში მოადენს წკაპანს.

ნ. მარიხია

## მემკვიდრის არჩევა

ოდესღაც, ერთ სამეფოს მართავდა მოხუცი მეფე, რომელსაც არ ჰყავდა მემკვიდრე. სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, იხმო მეფემ ოთხი ჭაბუკი, რომელთაგანაც მემკვიდრე უნდა შეერჩია.

აუხვიეს თვალები ჭაბუკებს და დასხეს მეფის ირგვლივ.

მეფემ თქვა: „თითოეულ თქვენგანს შუბლზე თითს მივადებ. შუბლზე დარჩება შავი ან თეთრი ანაბეჭდი. შემდეგ აგიხსნით თვალებს. ის, ვინც დაინახავს უფრო მეტ შავ ანაბეჭდს, ვიდრე თეთრს, ადგეს და იდგეს მანამ, ვიდრე რომელიმე თქვენგანი არ მიხვდება, რა ფერის ანაბეჭდი აქვს თვითონ მას შუბლზე. ხოლო ვინც მიხვდება — რა ფერის ანაბეჭდი აქვს თვითონ მას შუბლზე, — ის იქნება ჩემი მემკვიდრე".

...როცა თვალები აუხსნეს, ჭაბუკები ადგნენ და ერთმანეთს მიაჩერდნენ. ბოლოს, ერთმა მათგანმა წამოიძახა: „ხელმწიფეო, მე შუბლზე შავი ანაბეჭდი მაქვს!"

რა ფერის ანაბეჭდები დაასვა მეფემ ჭაბუკებს? როგორ მიხვდა ერთ-ერთი მათგანი, რომ სწორედ მას ჰქონდა შუბლზე შავი ანაბეჭდი?

## პასუხი № 1-ში მოთავსებულ ცხრაკლიტულზე

### კროსვორდი

თარაზულად: 4. ქორბუდა; 5. გაფრინდაშვილი; 11. სპირტი; 12. ვანილი; 15. რებუსი; 16. მართვე; 17. ჭანარი; 19. ანკარა; 24. ორეხოვო-ზუევო; 25. მინდორი.

შვეულად: 1. გონიო; 2. აბედი; 3. ოდიში; 5. გალი; 7. ფსკერი; 8. ატმოსფერო; 9. მანდარინი; 10. დისნეი; 13. ობი; 14. უთო; 18. „ნინო"; 20. არბო; 21. თოლია; 22. „გორდა"; 23. გზირი.

### ვინ რა მოხელეა

გაბრიაძე არქიტექტორია. ცხოვრობს მე-8 სართულზე.

შოთაძე იურისტია, ცხოვრობს მე-3 სართულზე;

ივანიძე კბილის ექიმია. ცხოვრობს მე-5 სართულზე;

მიქაძე ბუღალტერია, ცხოვრობს მე-15 სართულზე.

### გამოცანა

ყინულის ლოლუები.

### ამოცანა

1002 დედაცხვარი.

### შარადები

მწყერი; რვეული.




## ფოკუსის მიღმა

„მე შემიძლია გამოვიცნო ნებისმიერი მაყურებლის დაბადების დღე, ვისაც არა სჯერა, ვთხოვ ამობრძანდეს სცენაზე", — მიმართავს მეფოკუსე დარბაზს. შემდეგ სცენაზე ამოსულს ეუბნება: „გაამრავლეთ თქვენი დაბადების რიცხვი 2-ზე; ნამრავლს მიუმატეთ 5, მიღებული ჯამი გაამრავლეთ 50-ზე; მიუმატეთ დაბადების თვის რიგითი ნომერი და დაასახელეთ მიღებული რიცხვი". ერთი წუთიც და მეფოკუსე აცხადებს მაყურებლის დაბადების დღეს.

იცით, როგორ გამოიცნო? იმ რიცხვს, მაყურებელმა რომ დაასახელა, უნდა გამოაკლდეს 250. მიიღება სამნიშნა ან ოთხნიშნა რიცხვი. ერთი ან ორი წინა ციფრი დაბადების დღეა, ორი უკანასკნელი კი — თვე.

ნახატი ა. ზახაროვისა ემილ კიო

ეროვნული ბიბლიოთეკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ლაზათია

ფასის მთიდან ბარისაკენ
მოთქარუნობს გამალებით,
შვენის ლურჯი ახალუხი,
ჩქერთა, ზვირთთა კამარები.

გამოსცდება მრავალ ორწოხს,
ნისლებით რომ დაბინდულან,
იმერეთში სულს მოითქვამს,
დადინჯდება რაინდულად.

მოსახვევნად მშობელ მხარის —
მძლავრ მკლავებად იტოტება...
საქართველოს ლაზათია,
რიონად რომ იწოდება.

ს. ზამფრიანი

ვ. ბოგატირენკო

ინდექსი 76157
ფასი 20 კაპ.